645 / 1977/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЗНАК ПОЧЕТА

# საქართველოს ქალი

მაისი
№ 5 1977 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩვენი რესპუბლიკის ათიათასზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა 26 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ახალგაზრდობის შრომის დღესასწაულზე.

საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას საზეიმო ვითარებაში გადაეცა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შრომის დღესასწაული კომუნისტური პარტიის საქმეებისადმი, სამშობლოსადმი რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების ერთგულების დათვალიერებად, მგზნებარე დემონსტრაციად გადაიქცა.

ვ. მაჩაბლის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშები, დროშები!



15803

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბი. ლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქ ყველაფერი ჩვენთვის კეთდება

„მადლობას გიხდით კეთილსინდისიერი შრომისათვის“ — ასე მიმართავს ყოველდღე მშობლიური საწარმო თავის ერთგულ ადამიანებს.

დიმიტროველებისათვის ძირითადი ამოცანა პარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებაა. ამ დიდ საქმეში წარმატების მისაღწევად პარტიას საჭიროდ მიაჩნია მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

გასულმა ხუთწლედებმა, რომლებიც წარმატებით დაგვირგვინდა, ნათლად დაადასტურა, რომ დიმიტროველთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება.

საავიაციო ქარხანა სანიმუშოა რესპუბლიკაში არა მარტო შრომითი მიღწევებით, არამედ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებით. თითოეულ მუშას შეუძლია ხმამაღლა განაცხადოს: „აქ, ამ საწარმოში ყველაფერი ჩვენთვის კეთდება“.

ქალი საწარმოში დიდი ძალაა. წარმოების თითქმის ყველა უბანზე შეხვდებით მათ. მათი შრომა მამაკაცთა შრომის ტოლფასია. ზოგიერთ უბანზე დიმიტროველი ქალები ერთდროულად რამდენიმე პროფესიას ფლობენ. ამიტომ ქარხნის ადმინისტრაცია მათდამი დიდ მზრუნველობას იჩენს. ხორციელდება ღონისძიებები ქალებისათვის შრომის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათი ჯანმრთელობისათვის.

ქარხნის საუცხოო სპორტულ კლუბში ექვსასამდე ქალი იკაჟებს სხეულს. ეს მთელი კომპლექსია — სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით, ტანვარჯიშის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის წრეებით.

ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მუშა-მოსამსახურეთა და მათი შვილების დასვენებასა და გაჯანსაღებას. ყოველწლიურად ქარხნის ასეულობით მშრომელი იგზავნება დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში. მუშა-მოსამსახურეთა 700-ზე მეტი ბავშვი ისვენებს კურორტ ჯავის პიონერთა ბანაკში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშათა კვებას. ამ მხრივ საავიაციო ქარხანა მართლაც რომ მისაბაძი და სანიმუშოა.

მშრომელებს ემსახურება ქარხნის ტერიტორიაზე განლაგებული შვიდი სასადილო

და ორი კაფე. არც საამქროებში დავიწყებიათ ბუფეტების გახსნა. შინიდან მოტანილი საუზმით სპეციალურად მოწყობილ სკვერში შეიძლება დანაყრება. დროის ეკონომიის მიზნით არც ისე დიდი ხანია დაინერგა მისაბაძი და სამაგალითო მეთოდი. შესვენების დაწყებამდე სასადილოებში მაგიდებს წინასწარ გააწყობენ ხოლმე სპეციალურ ჭურჭელში მოთავსებული კომპლექსური სადილებით. შესვენებაზე შემოსული მუშა უდავიდარაბოდ იკავებს ადგილს მაგიდასთან და ფულს იხდის აბონემენტის მეშვეობით. ამ სიახლის შედეგად ერთდროულად სადილობს ქარხნის დიდი კოლექტივი. მუშას, ნაცვლად ოცდაათი წუთისა, სადილზე 15-20 წუთი ეხარჯება. დარჩენილ დროს იგი კულტურული დასვენებისათვის იყენებს.

მუშათა განკარგულებაშია დიეტური სასადილო, სადაც შეღავათიან ფასებში სადილობენ. მეორე და მესამე ცვლის მუშები კომპლექსურ სადილებს უფასოდ იღებენ, საერთო საცხოვრებელს კი სპეციალური სასადილო ემსახურება.

გემრიელ, მაღალკალორიულ კერძებს კვალიფიციური მზარეულები ამზადებენ. ყოველდღიურად იცვლება მენიუ. მენიუს ადგენენ ექიმთან შეთანხმებით. მშრომელთა კვების საქმეში ქარხანა თავის დამხმარე მეურნეობებს იყენებს, საიდანაც უხვად შემოდის ბოსტნეული, ხორცი, რძე, კვერცხი, ახალი თევზი. ქალებს შეუძლიათ სადილები შინ წაიღონ შეღავათიან ფასებში. ქარხნის ტერიტორიაზე ხშირად იყიდება ნახევარფაბრიკატები და ოჯახისათვის საჭირო სანოვაგე.

არც ბინის პრობლემაა გადაუჭრელი დიმიტროველებისათვის. კარგა ხანია ქარხნის მიკრორაიონში აღარ არის ბარაკული სისტემის შენობები, მათ ადგილზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები წამოიჭიმა. ყოველწლიურად ასზე მეტი მუშის ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას.

საავიაციო ქარხნის ბაგა-ბაღი ორსართულიან შენობაშია, რომელიც წალკოტად ქცეულ ბაღში დგას. აქ უამრავი სათამაშო და გასართობია. ეზოს ამშვენებს ცოცხალი დეკორატიული კუთხეები. ყველაფერს ადამიანის მზრუნველი ხელი ეტყობა. სწორედ რომ მზრუნველი უნდა ვუწოდოთ ბაგა-ბაღის გამგეს მანანა ოთარიშვილს.

ამ მშვენიერი ეზოდან შენობაში მოხვდებით. პირველი, რაც თვალში გეცემათ, იდეალური სისუფთავე და წესრიგია. მზეს და სინათლეს გაუბრწყინებია პატარების სავანე, მათი ლამაზი სამფლობელო. აქ სიცოცხლე ზეიმობს. ყველგან სამხიარულო ხმები და კისკისია. ბაღში სკოლიდან დაბრუნებული ნოლჯგუფელებიც არიან, რომელთაც მასწავლებელი ამეცადინებს. მასვე დაჰყავს ისინი სკოლაში.

...დედები კი მშვიდად დგანან თავიანთ სამუშაო უბნებზე და ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის იბრძვიან.

**ლია გლოველი**





# [illegible]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში, დღიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა, ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველდღიური და მთავარი საზრუნავი ადამიანია. განუხრელად ასრულებენ რა დიდი და უკვდავი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მითითებას, პარტია და მთავრობა დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში უფრო უკეთესად იცხოვრონ საბჭოთა ადამიანებმა, ვიდრე სადმე სხვაგან დედამიწის ზურგზე. კომუნიზმის მშენებლი საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად შენდება ჩვენს თვალუწვდენელ და ბედნიერ სამშობლოში ფაბრიკა-ქარხნები, იქმნება საბჭოთა მეურნეობები და მძლავრი ენერგეტიკული ბაზები, სატრანსპორტო მაგისტრალები და სხვ. ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა კლუბები, კულტურის სახლები და თეატრები, შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი კერები, კომფორტაბელური საავადმყოფოები და სანატორიუმები.

ბევრს ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოები დედათა და ბავშვთა დაცვისათვის, მრავალშვილიანი დედებისათვის. ჩვენი რესპუბლიკა დაფარულია საშუალო და დაწყებითი სკოლებით, პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლებითა და ტექნიკუმებით. ყოველწლიურად ათასობით ბავშვი მკურნალობს და იკაჟებს სხეულს რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე, რითაც განთქმულია საქართველო. ზაფხულობით დიდი რაოდენობით იგზავნებიან სამკურნალოდ და დასასვენებლად დედები თავიანთ ბავშვებთან ერთად, ეწყობა პიონერული ბანაკები.

რესპუბლიკაში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის ერთი მესამედი ყოველთვის ქალია. გარდა ამისა სპეციალური დედობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 225.188-ი მრავალშვილიანი დედა, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი და მეტი შვილი, 2488 დედას კი მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება. რესპუბლიკა ამაყობს, რომ ჩვენთან 888 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო მეჩაიე თ. ყუფუნიამ ორგზის მოიპოვა ეს საპატიო წოდება. რესპუბლიკაში „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოებულთა თითქმის 50 პროცენტს ქალები შეადგენს.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ 1970 წელს ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ ჩვენი რესპუბლიკიდან 65.841 მოწინავე ქალი დააჯილდოვეს.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის ყველა პირობაა შექმნილი, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო და საკოლმეურნეო ცხოვრებაში, ხოლო შვილებისათვის ზრუნვა კი მიანდონ საბავშვო დაწესებულებებს, კვალიფიციურ აღმზრდელებს. ამიტომაც არის, რომ დედები, და მათ შორის მრავალშვილიანები, თავიანთი დაუღალავი შრომით ახარებენ სამშობლოს. იმ დედების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ, მთელი მონდომებით შრომობენ რესპუბლიკის საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე.

მიუხედავად იმ უდავოდ დიდი მუშაობი-

სა, რასაც რესპუბლიკის საბჭოთა და სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები ეწევიან დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვისათვის, ჯერ კიდევ არის მეტად სერიოზული ნაკლოვანებები. დარღვევებია დედებისათვის როგორც სახელმწიფო დახმარებების დროულად დანიშვნა-გაცემის, ისე მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამაში ბრალი მიუძღვით შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, მათს დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოთა ხელმძღვანელებს და, შემდეგ, არანაკლებ — იურიდიულ და საფინანსო-საკონტროლო ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან სისტემატურად შეახსენონ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო კანონმდებლობათა სავალდებულო შესრულება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ხობის რაიონის ბიის სასოფლო საბჭოში ჩაიდინეს დანაშაული — ხელოვნურად გაზარდეს დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა, რითაც ბოროტმოქმედებმა დიდძალი სახელმწიფო თანხა მიითვისეს. სამარცხვინო ფაქტები გამოვლინდა ზოგიერთ რაიონში: დედები მაღალმთიანი სოფლებიდან რაიონის ცენტრში ვერ ჩამოდიოდნენ და მათ ფულად დახმარებებს სრულიად სხვა პიროვნებები ითვისებდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბევრჯერ გამოუვლინებია, რომ ზოგ სკოლასა და საბავშვო ბაგა-ბაღში, საავადმყოფოსა და სამშობიარო სახლში იყო შეფერხება ბოსტნეულითა და კარტოფილით მომარაგებაში.

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს მონაწილეობით, დედათა და ბავშვთა დაცვისა და მათთვის დაწესებული შეღავათების უნაკლოდ განხორციელების საკითხები შემოწმდა ქ. რუსთავის საწარმოებში. შემოწმებამ ცხადყო, რომ იმ კეთილშობილურ ღონისძიებებთან ერთად, რასაც საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ რუსთავის საწარმოებში, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში იყო სერიოზული დარღვევები. მაგალითად ქალაქის საწარმოებში აღრიცხულიც კი არ ჰყავდათ თავიანთთან მომუშავე დედები და ორსული ქალები. მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში, სადაც 500-ზე მეტი ქალი მუშაობდა, უმოქმედოდ იყო სანჰიგიენის ოთახი. 13 შვილის დედა ნოდია და 10 შვილის დედა ბულიკაშვილი საწარმოშიც მუშაობდნენ და ყოვლადშეუფერებელი საყოფაცხოვრებო საბინაო პირობები ჰქონდათ. ქალთა შორის სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის მიზეზით იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლო ორგანოების მსჯელობის საგნად იქცეოდნენ ქალები, რომლებიც უხეშად არღვევდნენ სამუშაო-საყოფაცხოვრებო ნორმებს (ლოთობა, გარყვნილება, მოტყუება, სპეკულაცია). გარდა ამისა, ქალთა ნაწილი (მათ შორის მრავალშვილიანი დედები), გაერთიანებული იყვნენ რელიგიურ სექტებში.

შემოწმებისა და ადგილზე ზომების მიღების შემდეგ, რუსთავში ბევრი რამ გამოსწორდა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მაგალითები ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რა ბევრია გასაკეთებელი დედებისა და ბავშვების დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა შრომის საკანონმდებლო ნორმების დაცვას წარმოებაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. არავის არა აქვს უფლება, ქალი დასაქმოს მძიმე და შრომის მავნეპირობებიან, ასევე მიწისქვეშა სამუშაოებზე (გარდა არაფიზიკური სამუშაოსი).

არ შეიძლება ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისისა, და ისიც — მხოლოდ დროებით. დაუშვებელია ზეგანაკვეთ სამუშაოებზე გამოყენება, დასვენების დღეებში მუშაობა და მივლინებაში გაგზავნა ორსული და მეძუძური ქალებისა და იმ დედებისა, რომლებსაც ჰყავთ 1-წლამდე ასაკის ბავშვი. ქალები, რომლებსაც ჰყავთ 8 წლის ასაკამდე ბავშვები, ზეგანაკვეთ სამუშაოზე და მივლინებაში გაიგზავნებიან მხოლოდ მათი თანხმობით.

ორსული ქალები საექიმო დასკვნის შესაბამისად ორსულობის განმავლობაში გადაჰყავთ უფრო მსუბუქ სამუშაოზე, წინანდელი სამუშაოს ხელფასის შენარჩუნებით, ხოლო მეძუძური დედები კი — ბავშვის კვების მთელ მანძილზე, ე. ი. სანამ ბავშვი 1 წლისა გახდება.

მეძუძურ დედებს 1 წლამდე ბავშვის კვებისათვის ცვლაში ყოველ 3 საათში ეძლევათ დამატებითი დასვენება, არანაკლებ 30 წუთისა, რაც ანაზღაურდება ჩვეულებრივი საერთო წესით.

აკრძალულია ორსული ქალებისათვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა ან ხელფასის შემცირება. არ შეიძლება ორსული და ერთ წლამდე ასაკის ბავშვიანი ქალის სამუშაოდან განთავისუფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთოდ მთლად არ უქმდება აღნიშნული საწარმო ან დაწესებულება.

იქ, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა, აუცილებლად უნდა მოეწყოს საბავშვო ბაგა-ბაღები, ბავშვთა ძუძუთი კვებისა და ქალთა ჰიგიენის სპეციალური ოთახები. სავაჭრო ქსელის მაღაზიებში სისტემატურად უნდა იყიდებოდეს ბავშვთა კვების აუცილებელი პროდუქტები.

ასევე ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს დედათა და ბავშვთა საყოფაცხოვრებო და სამკურნალო გამაჯანსაღებელი ობიექტების მუშაობა.

ძალზე სერიოზული და შეუნელებელი ყურადღება სჭირდება მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარებების დანიშვნის საკითხებს. დახმარება უნდა განხორციელდეს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ხოლო შესაბამის ჯილდოზე წარდგენა ხდებოდეს სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა. უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევებიც, როდესაც დედას ამა თუ იმ მომდევნო ჯილდოზე წარადგენენ ხოლმე მაშინ, როდესაც მას წინანდელი კუთვნილი ჯილდოები არც მიუღია (არ წარუდგენიათ) და ამრიგად ისინი დაეკარგა.

აღსანიშნავია, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა იმ დედებს, რომლებმაც შობეს და პატიოსნად აღზარდეს 5 და მეტი შვილი და თანაც აქტიურად მონაწილეობენ სამრეწველო და საკოლმეურნეო შრომაში. იშვიათად ეწყობა მათი ფოტოსტენდები და მოწინავე დედებთან შეხვედრები.

აი რამდენი რამ აქვთ გასაკეთებელი და მოსაგვარებელი ადგილებზე საბჭოთა საზოგადოებრივ, სახელმწიფო-ადმინისტრაციულ, იუსტიციისა და საკონტროლო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, დედათა და ბავშვთა — ჩვენი საამაყო თაობის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად! ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ზერელედ ხელმძღვანელობს ამ საქმეს. უარესი ითქმის სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიმართ. ყველგან არ ხდება ადგილებზე ფაქტიური მდგომარეობის შემოწმება და სათანადო ზომების განხორციელება. იშვიათად განიხილება დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხები აღმასკომის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე.

საბჭოთა ქალებისადმი კვლავ გაამახვილა ყველას ყურადღება, და განსაკუთრებით პროფკავშირებისა, სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი სესია ფართოდ განიხილავს ქალთა შრომის საკითხებს და დასახავს სათანადო ღონისძიებებს.

ყველაფერი ეს დედათა და ბავშვთა დაცვის საქმისადმი შეუნელებელ და ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს.

დედათა და ბავშვთა დაცვა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად დიდძალ სახსრებს იღებენ ამ ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებებისათვის. ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ვალია მიზნობრივად გამოიყენონ და დროულად აითვისონ ეს თანხები, გამოიჩინონ ინიციატივა და სამაგალითოდ მოაგვარონ ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში, თავიანთ სამოქმედო უბნებზე ეს მეტად პასუხსაგები და საპატიო საქმე.

პ. ცაგარეიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ციალაძე

# ცისფერი ცხვირსახოცი

(ნამდვილი ამბავი)

სოფელი ჭოლა, სადაც მე დავიბადე, იმ დროს მივარდნილი კუთხე იყო. სოფელში არავითარი გასართობი არ არსებობდა. გასართობს თვით ხალხი იგონებდა და საამისო ადგილიც თვითონვე ჰქონდა გამოძებნილი: ასეთი იყო, მაგალითად, მდინარის გაღმა გაჭიმული მინდორი, რომელსაც „ოჭარკინე“ ეწოდებოდა. ამ მინდორში კვირაობით იმართებოდა ჭიდაობა, ლელობურთი, ცეკვა-თამაში. მე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ყოველგვარ გართობა-თამაშობაში და განსაკუთრებით ლელოში. არც დაირაზე ცეკვაში მყავდა ბადალი. ან კი ვის არ აცეკვებდა განთქმული მედაირე მინათი წახნაგიას დაირა? მინათი ერთს შეიფრთხიალებდა, დაირას ხელში მარჯვედ შეატრიალ-შემოატრიალებდა, და ფეხები თავისთავად იწყებდა ცეკვას...

მაშინ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე ვიყავი. საზაფხულო არდადეგებზე ქუთაისიდან პირდაპირ სოხუმში მივდიოდი სამუშაოდ, რათა სწავლის ფული მომეგროვებინა.

უკვე სამი წელი იყო, რაც ჩემი სოფელი არ მენახა. სოფელში ამდენი ხნის ჩაუსვლელობამ გადამასხვაფერა. თვით სოფელიც მეუცხოვა. დიდები თითქოს დაბერებულიყვნენ, პატარები დაზრდილიყვნენ, ასე რომ, ზოგი ჩემი მეზობელი ვეღარც კი ვიცანი...

ქუთაისიდან ჩამოსვლის პირველ კვირასვე „ოჭარკინეში“ წავედი საბურთაოდ, გული ვიჯერე თამაშით. აბა რას დამაკლებდნენ სოფლის ბიჭები ქუთაისის ფეხბურთის გუნდ „შევარდენის“ მოთამაშეს? თამაშით გახურებული და დაღლილი მივუახლოვდი წრეს, სადაც ახალგაზრდობას ცეკვა გაემართა. მინათიმ დამინახა თუ არა, მომაძახა!

— აბა, ჩემო ალე, მოდი ერთი შენებურად ჩამოუარე!

ესა თქვა და შეუნთო დაირას... ახალგაზრდებს თვალი გადავავლე. ყველა ცნობისმოყვარეობით მიცქეროდა. არ დავბნეულვარ. ქუთაისში განთქმული ცეკვის მასწავლებლის ალელოვის კურსები მქონდა დამთავრებული, ცეკვაში გაწაფულ ქუთაისელ ახალგაზრდობაში პირველი ადგილი მეკავა და აქ, ამ სოფელში რა ეშმაკი დამაბნევდა? ახალგაზრდებს ამაყად გადავხედე და წრეში გავედი. რამდენჯერმე ჩამოვუარე, შთაბეჭდილების მოსახდენად ჩემი მოგონილი რთული ილეთები ვიხმარე და წრის შუაგულში გავჩერდი. ვერავინ გაბედა ჩემთან საცეკვაოდ გამოსვლა. მეც ეს მინდოდა. ეჰ, რა არის ახალგაზრდობა! მამლაყინწასავით გაბღენძილმა, მინათის შემკითხველი მზერა ვესროლე. მან თვალით მანიშნა ერთ საშუალო ტანის ქალიშვილზე,რომელიც მოზრდილებს ამოფარებოდა და დიდრონი ცისფერი თვალებით ჩუმჩუმად მიცქეროდა. ქალიშვილისკენ ცეკვით გავემართე და თავი დავუკარი. ის კი ვიღაც ხნიერი დედაკაცის ზურგს ამოეფარა. მაშინ მისცვივდნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, დაავლეს ხელი და წრეში გამოათრიეს.

— მაია, რას გაშტერებულხარ, იცეკვე, გოგო! — უკიჟინებდნენ აქეთ-იქიდან.

სირცხვილისაგან მოკუნტული და სახეალეწილი, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ძალზე ლამაზი ქალიშვილი დავინახე. ისევ ჩამოვუარე, მერე მის წინ გავჩერდი, თავი დავუკარი და ისევ ვთხოვე ჩემთან ეცეკვა. ქალიშვილმა დიდრონი თვალები შემომანათა, ხელები გაშალა და წრეში გამოგოგმანდა. თავდავიწყებით ცეკვავდა, პირდაპირ საოცარი იყო: ეს სოფლელი ქალიშვილი ისე ცეკვავდა, თითქოს ჩემთან ერთად დაემთავრებინოს ალელოვის კურსები.

კიდევ უფრო შეენთო ცეცხლი დაირას, კიდევ უფრო გახურდა ცეკვა, ახლა უკვე საქმე იმაზე მიდგა, თუ ვინ ვის დაღლიდა. ღმერთმა უწყის, ვისი გამარჯვებით დამთავრდებოდა ცეკვა, რომ წრეში მთვრალი ლევან ახალაია არ შემოვარდნილიყო და ჩვენთვის ხელი არ შეეშალა.

როცა ქალიშვილს მადლობის ნიშნად ხელი ჩამოვართვი (ეს სოფელში არ იყო მიღებული, მაგრამ მე ჩემი გავიტანე), მაიამ ისეთი გასხივოსნებული თვალები შემომანათა, რომ მუხლები მომეკვეთა და წრიდან ძლივს გავედი.

საღამოს დავიშალენით და სახლებში წავედ-წამოვედით. ახალგაზრდების ჯგუფში მაია მოვძებნე და ხელი ხელზე შევახე. შებინდებული იყო, არავის დავუნახივართ. სხვებს ჩამოვრჩით და ნელ-ნელა წამოვედით. შუკის ორივე მხარეზე ჩაყოლებულ კოპიტებზე ბულბულები გალობდნენ. თბილი ღამის ნოტიო სიო სახეზე გველამუნებოდა. რაღაც გამოუთქმელ ნეტარებას ვგრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. უცბათ მაიამ წაიფორხილა, მე ხელი ვტაცე. როგორღაც ისე მოხდა, რომ გულზე მომეხუტა.

— მაია, საყვარელო! — წავიჩურჩულე გაოგნებულმა.

— ალე! — თითქოს ამოიკვნესა. მაია გულზე მივიკარი და ვაკოცე.

— ეჰეი! გეყოფათ, ცოტა მეც შემინახეთ! — მოისმა ჩახლეჩილი ხმა. მთვრალი ლევან ახალაია მობობტებდა შუკაში. ღობეს ავეკარით. ლევანმა ბურტყუნით განაგრძო გზა.

ქუთათურ ქალიშვილებს თითქმის ყველას ვიცნობდი, მაგრამ არასოდეს არცერთი არ შემყვარებია, აქ კი, ჩემს მშობლიურ სოფელში, თითისტოლა გოგომ ასე შემაყვარა თავი! თითქოს მიკვირდა, მაგრამ სინდისის წინაშე მაინც სიმართლის თქმა ვამჯობინე: მაია ყველა ქალიშვილს სჯობდა, რომელიც ოდესმე მენახა.

მაია ჭიშკრამდე მივაცილე, მე კი ჩემი სახლისკენ გავეშურე. მივდიოდი და თან ვფიქრობდი. თვალწინ მედგა განვლილი წლები. ვიგონებდი პატარა მაიას ბავშვურ სახეს, ბავშვურ თამაშს, გულიან კისკისს. ახლა სადღაც გამქრალიყო ის წლები. აღარ იყო მაშინდელი მაიაც: გამოცვლილიყო, დაქალიშვილებულიყო. ახლანდელი მაია სულ სხვაგვარად მომწონდა, მაგრამ არც ძველი პატარა მაია მავიწყდებოდა, ვერც მის სახეს ველეოდი, ვერც მის თამაშს, ვერც მის კისკისს. ვცდილობდი ისევ გადავსულიყავი განვლილ წლებში და ძველი მაია მეძებნა... და მე გამახსენდა რამდენიმე სურათი იმ წლების.

დედით და მამით ობოლ მაიას უფროსი ძმა პართენი ზრდიდა. იგი მთელ სოფელში განთქმული მჭედელი იყო, სამეურნეო იარაღებს აკეთებდა, პირავდა, ქლიბავდა. მისი სამჭედლო დღენიადაგ სავსე იყო სხვადასხვა სოფლიდან მოსული გლეხებით. უკვე წამოჩიტულ ყმაწვილს ძალიან მიზიდავდა პართენის სამუშაო. თითქმის მთელი დღეები მის სამჭედლოში ვიყავი და ჭედვაში ვეხმარებოდი. სამაგიეროდ, პართენი ხან ნაჯახს გამომიპირავდა ხოლმე, ხან თოხს, ხან ბარს.

პართენ მითაგვარიას სამჭედლოში საბერველის ქშენა და უროს დაგადუგი ხამუშ-ხამუშ ენაცვლებოდა ერთმანეთს. ბული იდგა სამჭედლოში. ცეცხლში იწრთობოდა და გამრჯე კაცის ხელში ათასნაირ ფორმას იღებდა რკინის ნაჭერი.

ამ დროს კი, სამჭედლოს უკან მიდგმულ პატარა ფიცრულ ოთახში, რომელსაც პართენი „საწყობს“ ეძახდა, არანაკლებ წრთობას გ ა დ ი ო დ ა ხალხი, არანაკლები სიმტკიცის ადამიანები იჭედებოდნენ. აქ დღისით თვალში გეცემოდათ მხოლოდ ძველისძველი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბარები, თოხები, წერაქვები და სხვ. ღამღამობით კი კრებები იმართებოდა. ზუგდიდის მაზრის არალეგალური პარტიული კომიტეტის მდივნის გრიგოლ როგავას მითითებით ჭოღის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს აქ შეეყარათ ხოლმე თავი და ემსჯელათ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

რევოლუციური საქმეების გარდა, პართენის სახლი კიდევ იმიტომ მიზიდავდა, რომ იქ ვხვდებოდი მის დას, პატარა მაიას. ჩემს თანამოაზრე ბოლშევიკებს შორის ყველაზე უმცროსი ვიყავი და, ალბათ, ამიტომ ვუყვარდი მაიასაც. გვერდიდან არ მცილდებოდა, სულ თვალებში შემომციცინებდა. გამოვიჩნდებოდი თუ არა ეზოში, ჩემკენ გამოიქცეოდა, მომვარდებოდა და გადამეხვეოდა, შინ შევიდოდა და გამომიტანდა ბალს, ალუბალს, თუთას, ჩურჩხელას და სხვა პირის ჩასატკბარუნებელს. მაიას რძალი ეზოში რომ დამლანდავდა, ხუმრობით შესძახებდა:

— აბა, მაია, დატრიალდი, შენი მიჯნური მოვიდა!

მაია წითლდებოდა, იბუტებოდა.

ერთხელ, როცა „საწყობში“ ვიჯექი და თავს ვიმტვრევდი, თუ სად გადამემალა არალეგალური ლიტერატურა, მაია ფიცრულში შემოიპარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ალე, მე ვიცი, რაც გიჭირს. არ იცი სად გადამალო საიდუმლო ქაღალდები. მე ვიცი კარგი ადგილი, ჩვენი სოფლის გაღმა-გამოღმა ტყეს ხუთი თითივით ვიცნობ. მოდი, ასე მოვიქცეთ: ხვალ დილით, როგორც კი ირიჟრაჟებს, მე თხებს გავრეკავ, შენ კი მუხის ნაკაფში დამხვდი, დანარჩენს იქ გეტყვი.

— კი, მაგრამ საიდან მიხვდი, რომ ქაღალდები მაქვს გადასამალავი?

— ისე მივხვდი.

— ჰაი, შე კუდიანო, შენა! მოდი ერთი შუბლში გაკოცო!

მაიამ შუბლი მომიშვირა.

დილაადრიან მართლაც მორეკა თხები, გორაკზე ამოირბინა და, რომ დამინახა, ეშმაკურად ჩაიცინა. ხელი მომკიდა, ეკალ-ბარდებში გამატარა და უზარმაზარ მუხას მიმაყენა. დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე ფუღურო მოჩანდა. მივხვდი მაიას ჩანაფიქრს.

— ყოჩაღ, ჩემო ჭკვიანო მაია, ყოჩაღ! აი, თურმე რა მოგიფიქრებია!

გოგონა გულზე მომეხუტა.

იმ დღიდან მაია ჩემი მესაიდუმლე გახდა. რამდენჯერ გადააქოთეს სოფელი მენშევიკთა გვარდიელებმა, მაგრამ მაიას გადამალული „ქაღალდები“ ვერა და ვერ იპოვეს.

ახლა კი...

ახლა სამი წელი იყო გასული მას შემდეგ. ამ სამ წელს პატარა მაიას მაგივრად ქალიშვილი მაია მოეყვანა.

სამჭედლოში სიარულს მოვუხშირე. ისევ ვეხმარებოდი პართენს, ისევ მომქონდა გამოსაპირავად ნაჯახი და სხვა ანჯარი, რაც კი გამაჩნდა. პართენს, ეტყობა, მხედველობიდან არ გამორჩენია ჩემი ასეთი მოქმედება და ერთ დღეს მკითხა:

— ბიჭო, ეს თოხი ხომ ახლახან გამოვპირე, ხელმეორედ რაზე მოგიტანია?

სახეზე ალმური მომედო. პართენი დიდხანს მაკვირდებოდა, შემდეგ თავი გადააქნია და ულვაშებში ჩაიცინა.

როგორც კი მაია სამჭედლოში დამინახავდა, იქვე, ორიოდე ნაბიჯის გადადგმაზე მდებარე ჭასთან სახლის მთელ ჭურჭელს გამოიტანდა და ნელ-ნელა ავსებდა წყლით. მაიას შემხედვარეს, მკლავში ღონე მაკლდებოდა და უროს დუნედ ვურტყამდი... ალბათ არც ეს გამოჰპარვია პართენს.

ერთხელ, როცა მაია ჭიდან ნელ-ნელა იღებდა წყალს და თან ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა, პართენმა მიაძახა:

— მაია, ერთი ცივი წყალი მოუტანე საწყალ ალეს, თორემ ისე სწყურია, რომ გულზე ცეცხლი ედება!

მეხი დამეცა, მაგრამ, რა უნდა მექნა. მაიამ მარჯვენა ხელის გულზე დადებული ჭიქა წყალი წამოიღო, მაგრამ ხელი ისე უკანკალებდა, რომ წყალი თითქმის სულ დაიღვარა. უროს კაკუნი შეწყდა, შეცბუნებულმა დარჩენილი წყალი მოვსვი. წყალი სასულეში გადამცდა და ხველა ამიტყდა. პართენი ღიმილით მოგვიახლოვდა, ორივეს თავები დაგვიჭირა, ერთმანეთზე მიგვარტყმევინა და სიცილით წამოიძახა:

— რა ამბავში ხართ, თქვე ციგნებო, თქვენა? ეს ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიათ? — მერე ლოყაში თითო სილა გვითავაზა, ოღონდ მსუბუქად.

მის ქცევაში იმდენი სითბო და სიყვარული გამოსჭვიოდა, რომ ორივენი წელში გავიმართეთ. მივხვდით, რომ პართენი თანაუგრძნობდა ჩვენს სიყვარულს. ამან ორივეს ფრთა შეგვასხა.

ერთმანეთს სამჭედლოში და ღამისთევაში ვხვდებოდით, ჩვენში ვინმეს ავადმყოფობისას რომ იმართებოდა.

ამჯერად ავადმყოფ მარიამ მითაგვარიას სახლში იყო ღამისთევა. ფანტს თამაშობდნენ. აქ, რასაკვირველია, ორივენი ვიყავით. ნესტორ მითაგვარიამ გამოცანაზე მცდარი პასუხის გაცემისათვის, მაიას ჩემთვის სამჯერ კოცნა მიუსაჯა. მაია დაიბნა. ასე საჯაროდ ჩემთვის კოცნა მისთვის თავზარდამცემი იყო, მითუმეტეს, რომ მიხვდა: ნესტორმა განგებ გამოუტანა ეს „სასჯელი“.

მაიას ტუჩები უთრთის, მისი მშვენიერი შუბლი ოფლს დაუცვარავს.

— აბა, მაია, ნუ გრცხვენია, აკოცე ალეს! — უთხრა ხნიერმა ქვრივმა სოფიო კაზაიამ.

მაია ნელ-ნელა მომიახლოვდა და ჩემს წინ დადგა. ციებ-ცხელებიანივით კანკალებდა. ვიღაცამ, მაიას საცოდაობით აღელვებულმა, ერთადერთი მბჟუტავი ჭრაქი ჩააქრო და შესძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, არ გაბედოთ ჭრაქის ანთება!

სიბნელით გათამამებულმა მაიამ კისერზე ხელები მომხვია და რამდენჯერმე მაკოცა.

ერთი-ორი წამი, და ჭრაქიც აინთო. ორივენი პატიოსნად ვისხედით ჩვენ-ჩვენს ადგილას.

მე მგონია, მარტო ჩემს სოფელში იცის ასეთი მთვარიანი ღამე; მიდიხარ ტაატით მდინარე ჭოლის გასწვრივ, ისმის მდინარის საამო ჩხრიალი და ბულბულთა დამატკბობელი გალობა. ნეტარების მოლოდინში გული სიამით გევსება და, ფარული საბედნიერო წუთის მომლოდინე, მზადა ხარ გზის ორივე მხარეს თეთრად მოკაშკაშე ჭადრებს გადაეხვიო. ეს საბედნიერო წუთი მხოლოდ იქ შეიძლება განიცადოს კაცმა, სადაც სიყვარული ძვირფასია, და არა იქ, სადაც სიყვარულიც იაფია და პაემანიც ხალხის თანდასწრებით ხდება. ნორჩი გულების პირველი პაემანი! ვისაც ეს არ გამოუცდია, მან არაფერი იცის სიყვარულისა!

... გზის მარჯვენა მხარეს გადავუხვიე და ტყეს შევეფარე. ვუცდიდი მთვარის ჩასვლას. როცა არე-მარე სიბნელემ მოიცვა, ისევ გზაზე გამოვედი. ორიოდ წუთში პართენის ეზოში აღმოვჩნდი. მურიას შევეფეთე, მიცნო და მომელაქუცა. სამზადისაკენ გავემართე. ფრთხილად მივედი კართან და ოდნავ გასაგონად დავაკაკუნე, თან კარის ჭრიალში დაბალი ხმით დავუძახე:

— მაია!

ხის საწოლის ჭრიჭინი მომესმა, შემდეგ მიწურ იატაკზე შიშველი ფეხის ხმა.

-- ალე ხარ? — გავიგონე სანატრელი ჩურჩული.

— ჰო, მე ვარ, მაია, მე! — ჩურჩულითვე მივუგე.

კარი გაიღო...

მთელი ღამე ჩურჩულში გავატარეთ, მხოლოდ ჩურჩულში, სატრფო, საცოლე ჩემთვის წმიდათა წმიდა არსება იყო...

— ჩემო მაია, ჩემო სიყვარულო! — ვდუდუნებდი მე.

— ჩემო ალე, მე შენ პატარაობიდანვე მიყვარდი, მაგრამ შენ ყურადღებას არ მაქცევდი!

— მაინც რამდენი ხნისა იყავი, შე შეჩვენებულო, მე რომ შეგიყვარდი? — ხუმრობით ვუჩურჩულე და აბრეშუმივით ფაფუკ თმაზე ხელი გადავუსვი.

—ასე თერთმეტ-თორმეტისა!

— მერე, ჩემო მაია, ასე პაწაწინა გოგომ სიყვარულისა რა იცოდი?

— რა ვიცი, მუდამ იმას კი ვნატრობდი, ალე ჩემი ქმარი გახდეს-მეთქი, მაგრამ, არც ახლა მაქვს იმედი ჩემი ნატვრის ასრულებისა. სად მე და სად შენ. შენ განათლებული ხარ, მე კი წერა-კითხვის უცოდინარი. — ნაღვლიანად წარმოთქვა მაიამ.

— დარდი ნუ გაქვს, მე ხომ მასწავლებლობას ვაპირებ, — სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემს პატარა ცოლს ვერ გავანათლებ? მე შენ არ გწუნობ, ჩემო მაია! კიდევ გეუბნები, ნუ სწუხარ, ჩემო საყვარელო!

რიჟრაჟმა ერთმანეთს დაგვაცილა. გადავწყვიტე მაია ცოლად შემერთო და სკოლის დამთავრებამდე დედაჩემთან დამეტოვებინა.

მაგრამ მოულოდნელად უბედურება დატრიალდა.

სოფელს საშინელი უცხო სენი მოედო, რომელსაც თავდაპირველად რომანტიკული სახელი „ისპანკა“ დაარქვეს, შემდგომ სახელი უცვალეს, ინფლუენციად მონათლეს, უფრო გვიან კი გრიპი უწოდეს. ამ სენმა ჩვენი სოფლის ბევრი ოჯახი ამოწყვიტა. არ იყო ექიმი, არ იყო წამლები. მიცვალებულები იმდენი იყო, რომ სოფლის ორი დურგალი — ჭაჭუ მითაგვარია და გიორგი დიხამინჯია კუბოების გაკეთებას ვერ აუდიოდნენ. „ისპანკამ“ მაიას ოჯახშიც შეაბიჯა. რამდენიმე დღეში დაიხოცნენ მაიას ძმა, რძალი და ორი პატარა ბავშვი. ჯერჯერობით ცოცხალი მარტო მაია იყო, რომელსაც უკვე სჭირდა ეს საშინელი სენი.

სიცხისაგან გათანგული იწვა ლოგინში და ბოდავდა. მე თავზე ვადექი. ხანდახან გონს მოვიდოდა და კვნესით მეუბნებოდა:

— ნუ მეკარები, ბიჭო, ნუ მეკარები, თორემ გადაგედება და რად გინდა, რომ შენც ჩემთან ერთად მოკვდე.

მე ვამხნევებდი:

მაია. ჩიმო ძვირფასო, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, მალე მომჯობინდები. — და ჩემი ნაჩუქარი ცისფერი ცხვირსახოცით ოფლს ვწმენდდი.

— ალე, ალე, ჩემო ძვირფასო! — კვნესოდა მაია. — მარტო მე დავრჩი, ახლა მთლად ობოლი ვარ! არა, ეს რა ვთქვი! ღმერთო, ნუ მიწყენ, შენ ხომ მყავხარ! არა, არ მინდა სიკვდილი, ცხოვრება ახლა ვიგემე და ახლა უნდა მოვკვდე?

— მაია, გამაგრდი, გამაგრდი! ნუ გეშინია, გადაგარჩენ. გეფიცები, ყველაფერს ვიღონებ, რომ გადაგარჩინო! შენთან ფატის დავტოვებ. ის მოგივლის ჩემს მოსვლამდე.

მაია გონს მოვიდა, შესაბრალისად ამოიხვნეშა, დიდრონი ცისფერი თვალებით შემომხედა, ჩემი თავი გულში ჩაიხუტა, მარჯვენა ხელი ქოჩორში ჩამავლო და მისუსტებული ხმით მითხრა.

— ალე, საყვარელო, შენ ალბათ ისევ ექიმთან მიდიხარ. ვინ იცის, ეგებ მე ცოცხალი არ დაგხვდე! ყური მიგდე... ვიცი, ყოველმხრივ პატიოსანი ყმაწვილი ხარ. ხშირად მიფიქრია, ასეთი კაცი ცუდ საქმეს არ ჩაიდენს მეთქი. მე ერთი გაუნათლებელი გოგო ვარ, აბა შენ როგორ შეგედრები, მაგრამ წინათგრძნობა საოცარი მაქვს. და დღეს, მომაკვდავი, შენზე ვფიქრობ, შენს მომავალზე. ჩემი საწყალი გული მეუბნება ამას და არ შემიძლია არ გითხრა... მე თუ მოვკვდი, შენს მომავალ ცოლს ნუ ეტყვი, რომ მე გიყვარდი. ყოველი ქალი ეჭვიანია, თუნდაც მკვდრისადმი... შეირთე ჩემსავით საწყალი გოგო, ქონებით ღატაკი, ოღონდ სულით მდიდარი. ის უფრო დაგაფასებს...—ჩაიჩურჩულა მაიამ ცრემლების ფრქვევით და ისევ გულში ჩამიკრა.

დიდხანს ვიყავით ასე. სულით და გულით მინდოდა გადამდებოდა მაიას სენი. ბოლოს მაია აცახცახდა და წამოიძახა:

— ალე, იჩქარე, ექიმი, წამალი! ეგებ სიკვდილს გადაურჩეს შენი საწყალი პატარა მაია!

ფატი კარის ზღურბლთან იდგა და ცრემლად იღვრებოდა. დანისლული თვალებით გამოვედი გარეთ. მეზობლებისაგან ორი ცხენი ვითხოვე — ერთი ჩემთვის, ერთიც — სამარქაფო, და ჭენებით გავუყევი მუხურისაკენ მიმავალ გზას.

ექიმ ნიკოლოზ ბენდელიანის ჭიშკარი შევამტვრიე და ცხენებით ეზოში შევვარდი. ნიკოლოზს არაფერი უკითხავს, წამსვე გაბრუნდა, პატარა ჩემოდანი გამოიტანა, ცხენზე შეჯდა და მითხრა:

— აბა, ალე, ვიჩქაროთ!

რაც ძალი და ღონე გვქონდა, მივაქროლებდით გაქაფულ ცხენებს.

ბაკურეთის მოსახვევთან ვიწრო გზა ცხენოსან გვარდიელებს გადაეღობათ. მათ წინ ჩხოროწყუს რაიონის კომისარი ივანე ცხონდია და სოფელ ჭოლის მამასახლისი იაკობა დარსალია იდგნენ. რა უნდა გვექნა, შევჩერდით. ცხენზე ამხედრებულმა ცხონდიამ ექიმს ხელი ჩამოართვა და, როცა ჩემკენ მოიხედა, გახარებულმა შესძახა:

— ოჰო! აგაშენათ ღმერთმა! ვისაც ვეძებდი, თვითონვე არ ჩამივარდა ხელში? აბა, გვარდიელებო, დაატუსაღეთ ეს ბანდიტი, ესა!

გვარდიელები მომცვივდნენ და ცხენიდან სასწრაფოდ ჩამომსვეს. მივხვდი, რომ მახეში გავები. დიპლომატია მოვიშველიე და კომისარს მივმართე:

— ბატონო კომისარო! მე ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე გახლავართ... არაფერ შუაში არა ვარ. ალბათ ვიღაცაში გეშლებით!

— ხმა გაკმინდე! — დამიყვირა ცხონდიამ — მოწაფეთა შორის ბევრია სამშობლოს მოღალატე!.. უყურეთ ამ ბანდიტს! მთელი ქუთაისის გუბერნია არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურით გაავსო და ახლა კი თავს იმართლებს, მოწაფე ვარო!

ნიკოლოზ ბენდელიანი გამომექომაგა, მაგრამ ცხონდიამ შორს დაიჭირა:

— ბატონო ექიმო, ეს ვაჟბატონი ამ ცოტა ხნის წინათ რაიონის საპატიმროში მეჯდა, ერობის არჩევნების დროს ბოლშევიკების სასარგებლოდ აგიტაციის გაწევის გამო. თანაც სოფლის არალეგალური კომუჯრედის მდივანია. წარსულში, როცა აქ სწავლობდა, სკოლის სპარტაკის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მაშინ თქვენმა ძმამ, პატივცემულმა ალექსანდრემ იხსნა, წერილი გამომიგზავნა. მწერდა: ლექარჩეს ბოლშევიკებმა შეაცდინესო; ერთი ბაყაყის ყიყინი ჩვენს ტურფა საქართველოს ზიანს ვერ მოუტანსო. გავბრიყვდი და გავათავისუფლე, ოღონდ იმ პირობით, თუ

„ბოლშევიკობას“ თავს დაანებებდა. მერე ქუთაისის გიმნაზიაში შევიდა, იქ ბოლშევიკების საგუბერნიო კომიტეტს დაუკავშირდა და კიდევ უფრო გააცხოველა მუშაობა. რა გინდა, რომ არ გააკეთოს! დიდ პატივს გცემთ, ბატონო ექიმო, თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს, მაგრამ ამჯერად აღარ მოვტყუვდები. ეს ვაჟბატონი შეკოჭილი უნდა წარვუდგინოთ ზუგდიდის მთავრობას.

ბუნებით ამაყი, მოვტყდი. მე ახლა გონების თვალით ვხედავდი მაიას, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულს, სულს ლევდა. ამიტომ გადავწყვიტე ხერხისათვის მიმემართა, ოღონდ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალიშვილი გადამერჩინა.

კომისრის წინ მუხლებზე დავეცი და ვედრებით მივმართე:

— ბატონო კომისარო, გთხოვთ მომისმინოთ. მიკვდება ყველაზე ძვირფასი ადამიანი. რასაკვირველია, ექიმი უჩემოდაც მიეშველება, მაგრამ ავადმყოფს გვერდში რომ ვეყოლები, გაამხნევებს და წამალზე ნაკლებ როდი შეერგება. გამიშვით და, როცა საქმე ან ასე დამთავრდება, ან ისე, საყვარელ არსებას გეფიცებით, თავად მოვალ თქვენთან. ახლა კი უმორჩილესად გთხოვთ გამიშვათ.

ეს რომ ვთქვი, ბავშვივით ავტირდი. ყველა იქ მყოფს ცრემლი ჩაუდგა თვალებში. მხოლოდ პირქუშ ცხონდიას არ ეკარებოდა ცრემლი. მრისხანედ დაემანჭა სახე და წამოიძახა:

— ვინ ოხერმა შეგიყვარა, შე ბანდიტო! ვინ მოიცალა შენთვის! ა-არა, მეორედ აღარ შევცდები! აბა, გვარდიელებო, ხელები შეუკარით და წინ გაიგდეთ!

როცა იმედი დავკარგე და ვიგრძენი, რომ ჩემს მაიას სამუდამოდ ვცილდებოდი, გამწარებულმა შევყვირე:

— მაშ, ასე, ხომ? კარგი... მე ახალგაზრდა ვარ, ყველაფერს თავისი ბოლო აქვს, მოვესწრები იმას, რომ თქვენც ეხვეწებოდეთ და არ გისმენდნენ.

მერე ექიმს მივუბრუნდი და მივაძახე:

— ბატონო ნიკოლოზ, უშველეთ მაიას, მე კი არა მიჭირს რა, ოდესმე ხომ გამოვალ ციხიდან!

სამი თვე ვიჯექი ზუგდიდის საპატიმროში. ეს სამი თვე ჯოჯოხეთად მექცა, რადგან არ ვიცოდი, რა დაემართა მაიას.

ბოლოს, როგორც იქნა, გამათავისუფლეს. გულის ფანცქალით ვუახლოვდებოდი ჩემს სოფელს. ყოველი მხრიდან ისმოდა ტირილი. როგორც შევიტყვე, „ისპანკას“ კიდევ მრავალი ემსხვერპლა...

როგორც კი ჩემი მაიას გულშემატკივრის, ახალგაზრდა ქვრივის ფატის კარის ზღურბლს გადავაბიჯე, საწყალი ქალი გამომეგება და შეიცხადა:

— ჩემო, ალე, მოკვდა შენი პატარა მაია! ექიმი ხშირად აკითხავდა, მკურნალობდა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. მაიას უკანასკნელ წუთამდე არ მოვცილებივარ. სულ შენს ხსენებაში იყო, სულ იმაზე ლოცულობდა, რომ ერთხელ მაინც ენახე. სასთუმალთან ცისფერი ცხვირსახოცი ედო. აიღებდა, ხელში ატრიალებდა, ტუჩებთან მიიტანდა, ჰკოცნიდა და თან დუდუნებდა: — ეს ცხვირსახოცი მისი ნაჩუქარია. ახლა ჩემი ცრემლით არის დანამული. ეჰ, რა ვქნა, არ მეღირსა მასთან ერთად ცხოვრება. ობოლი ვიყავი და ობლად მივდივარ სამარეში. ჩვენ ორივენი უბედურ დროს ვცხოვრობდით. ამ დრომ მიმსხვერპლა მე, ამ დრომ იმსხვერპლა ჩვენი სიყვარული. ალეს უთხარი, ხანდახან გამიხსენოს. ხოლმე, ეს ცისფერი ცხვირსახოცი კი მანამდე ატაროს, სანამ არ გახუნდება, მერე კი ჩემს საფლავზე მოვიდეს, საფლავის ჯვარის ქიმზე ჩამოჰკიდოს და დაწვას. მასთან ერთად დაწვას იმ მწარე დროის მოგონება, რომელმაც ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა, დაწვას ის სევდა-ნაღველი, რომელიც ალეს ჩემი განშორებით დარჩება გულში.

ფატიმ ამოიოხრა და განაგრძო:

— ამ სიტყვების შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მაიას გონი წაერთვა. შენი ნაჩუქარი ცხვირსახოცი ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული, მაგრამ შენ უკვე აღარ გახსენებდა, — რაღაც უაზრო სიტყვებს ამბობდა, ისიც ხანდახან...

ასე დაამთავრა ფატიმ. ასე დავამთავრებ ამ პატარა ამბავსაც, ცისფერი ცხვირსახოცის, პირველი სიყვარულის ამბავს. მოკვდა პატარა მაია, გახუნდა ცხვირსახოცი, მაგრამ არასოდეს გახუნდება პირველი სიყვარული...



მხატვარი დ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინმოუსვლელი დედები

ფაშიზმზე გამარჯვებაში კაცებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ქალებმაც. მაგრამ ყველა როდი შეესწრო გამარჯვების დიდ ზეიმს. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში.

ქეთევან მიხეილის ასული ასათიანი აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაიბადა. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ მზრუნველობა არ მოაკლო ერთადერთ შვილს.

ქეთევანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო სასწავლებელი, მაგრამ ხელოვნებით გატაცებული ფოთის სახელმწიფო თეატრში მუშაობდა, სადაც მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. მას დიდი წარმატება ხვდა „ნინოშვილის გურიაში", რომელშიც კესარიას როლი განასახიერა.

„ქეთევანი თაყვანს სცემდა ხელოვნებას, უყვარდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებდა, ცხოვრებაზე არ წუწუნებდა". ასე ახასიათებს ქეთევან ასათიანს ფოთის სავაჭრო ნავსადგურის უფროსი ზედამხედველი კარლო გაწერელია.

იფეთქა ომმა! ქეთევანი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

„ფრონტზე წასვლის წინ ქეთევანი კვლავ გამოჩნდა ჩვენი ქალაქის ქუჩებში, — წერს კ. გაწერელია, — ის ღიმილით ეთხოვებოდა ნაცნობ-მეგობრებს, საყვარელ თეატრს და მის კოლექტივს. ომში მიმავალს კი არა ჰგავდა, არამედ — მეჯლისზე წასასვლელად გამზადებულ ქალს".

ასე მხიარულად გამოეთხოვა ქეთევანი მოხუც დედას და თავის პატარა ბიჭუნას გივის, რომელიც მაშინ ექვსი წლისა იყო.

ქ. ასათიანი 742-ე საველე მოძრავ ჰოსპიტალში ჩარიცხეს, სადაც მუშაობდნენ ექიმები გერმანე ახალაძე, სერგო ჟღენტი, პარმენ ჭახრაკია და ანდრო აბაშიძე. მათ მხარში ედგნენ მედიცინის დები ეთერ მაზიაშვილი, ანიკო ოგბაიძე, თამარ ოსაძე, მარგო ტუროვა, თინა ასათიანი და სხვები.

ჰოსპიტალში მომუშავე 37 ქალიდან დედა მხოლოდ ქეთევანი იყო. ამიტომ მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. იგი, როგორც მოწინავე კომკავშირელი, კომკავშირის კომიტეტის წევრადაც აირჩიეს.

1941 წლის დეკემბრის ბოლოს ჰოსპიტალი ყირიმისაკენ დაიძრა. თეთრ ცხენზე ამხედრებული ქეთევანი ვაჟკაცურად მიუძღოდა კოლონას.

„კოლონის ჩამოვლის დროს, — იგონებს ექიმი ს. ჟღენტი, — შემთხვევით შევამჩნიე ქეთევან ასათიანი ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო და თერაპიული განყოფილების ორთვალას ხელჩაკიდებული მისდევდა. გამოველაპარაკე, მან პასუხი არ გამცა. გამიკვირდა და კითხვა უფრო ხმამაღლა გავუმეორე. — ღმერთმა დასწყევლოს, ჩამძინებია! — შემკრთალმა მიპასუხა. მე პირველად ვნახე ადამიანი, რომელიც თურმე თვლემდა და მოძრაობდა".



ქეთევან ასათიანი

ქეთევანი და მისი ფრონტელი მეგობრები ნოვოროსიისკში შეხვდნენ 1942 წელს.

31 დეკემბერი. 742-ე საველე ჰოსპიტალი ქალაქის ერთ დანგრეულ შენობაში დაბანაკდა. მედიცინის მუშაკები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ. მძიმე პირობებში ულოცავდნენ ერთმანეთს ახალ წელს. ამ დროს, სად იყო და სად არა, ქეთევანმა შამპანური გახსნა. — თბილისიდან წამოვიღე და გზაზე დიდი სიფრთხილით ვატარე, რომ დღემდე მომეტანა, — თქვა და ის ერთი ბოთლი შამპანური მათარის თავსახურებში უკლებლივ ყველას ჩამოუნაწილა. შემდეგ თავისი „ჭიქაც" შეავსო, ხელში აიღო და, კოლეგებს მიმართა: — ახალ წელს გილოცავთ, მეგობრებო, ეს წელი ჩვენი გამარჯვების წელი ყოფილიყოს. სიკვდილი მტერს ჩვენი ქვეყნის აოხრებისათვის, ჩვენი ხალხის აწიოკებისათვის!

1942 წლის იანვარში ქეთევანი და მისი კოლეგები უკვე ქერჩში იყვნენ. ქეთევანი არავითარ საფრთხეს არ უშინდებოდა, ბრძოლის ქარცეცხლში საყვარელი „იავნანას" ღიღინით მიდიოდა.

„ქეთევან ასათიანი უცნაური იყო თავისი მრავალმხრივი ცოდნით, — იგონებს ს. ჟღენტი — ერთხელ, საოპერაციო მაგიდაზე მძიმედ დაჭრილი გვეწვა. შუქი, რომელსაც მოძრავი ელექტროსადგურიდან ვიღებდით, ჩაქრა. ქეთევანი სწრაფად გავიდა საოპერაციოდან. რამდენიმე წუთში შუქი აინთო. მალე ქეთევანიც შემოვიდა. — ღვედი გაწყვეტილა და მოტორი თავისთვის ბრუნავდა, შევასწორე, თანაც მორიგე მაგრად შევახურეო, — თქვა მან. შემდეგ ექთანს მიუბრუნდა და ხელი შეახვევინა, ღვედის ჩამოცმის დროს დაზიანებოდა".

1942 წლის მაისში, ქერჩიდან უკან დახევის დროს ქეთევანმა კვლავ გამოიჩინა თავი. მის ზონაში მყოფი არცერთი დაჭრილი არ ჩავარდნია მტერს. ყველანი ევაკუირებულნი იქნენ.

კავკასიისთვის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ნაწილი, რომელშიც ქეთევანი იყო, მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ მამაცი ქალი გმირულად იტანდა ყოველგვარ სიძნელეს.

„სხვა კარგ თვისებებთან ერთად, — იგონებს ქეთევანის ფრონტელი მეგობარი მ. ხარაძე, — ქეთევანი პრინციპული და უაღრესად სამართლიანი იყო. ვერ იტანდა უსამართლობას, უწესრიგობას, თაღლითობას. პირდაპირი ადამიანი გახლდათ. რაც გულში ჰქონდა, ენითაც იმას ამბობდა. თუ ვინმეს უსამართლობას შეამჩნევდა, მრისხანებით უენთებოდა თვალები და იქვე გაუსწორდებოდა.

საოცარი ენერგია ჰქონდა. როცა მას ვხედავდით, გვექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქეთევანი ერთი კი არ იყო, არამედ — რამდენიმე. მას ყველგან ვხედავდით — მისაღებში, საოპერაციოში, შესახვევში, პალატებში, ბრძოლის ველზე. იგი ნამდვილად გმირი იყო".

1943 წლის 13 ივნისს დედისადმი გაგზავნილ წერილში ქეთევანი წერდა: „ჩემო დედა, ვერ წარმოიდგენ როგორ მენატრება ჩემი სოფელი, საერთოდ ყველანი, ლამაზი საქართველო. გული მწყდება, რომ მეორე წლის გაზაფხულს ვერ ვესწრები ჩემს საქართველოში, მაგრამ არა უშავს, მოვსპობთ ჩვენი სამშობლოს მტრებს და მეც დაგიბრუნდებით".

ბრძოლის ქარცეცხლში მიიღეს ქეთევანი კომუნისტური პარტიის რიგებში, რის გამოც აღფრთოვანებული წერდა დედას: „მიმიღეს პარტიის რიგებში, მე ამ ნდობას გავამართლებ".

ქეთევანის ერთადერთი შვილი — გივი იმ დროს ბებიასთან იზრდებოდა სოფელ მარანში. პატრიოტი დედა შვილს ფრონტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან წერდა: „გისურვებ გაზრდილიყო ისეთი გმირი მებრძოლი, როგორიც ჩვენი მეთაურია ამ სურათზე. (ღია ბარათზე გამოსახული იყო ყამალ ყასიმოვი — მ. კ. ), მე კი აქ განვაგრძობ ბრძოლას მთელი ჩემი ენერგიით და ვეცდები გავამართლო პოლიტმეთაურის სახელი. იმედი მექნება, რომ მეზრდება ჩემი მომავალი შემცვლელი".

1943 წლის აგვისტოს ბოლოს ქეთევანი რამდენიმე დღით ჩავიდა საყვარელ სოფელ მარანში, მოინახულა შვილი, მოხუცი დედა. მაგრამ, რამდენადაც სასიხარულო იყო მათი შეხვედრა, იმდენად მძიმე — განშორება...

„... მე მაშინ 9 წლისა ვიყავი. კარგად მახსოვს, როგორ მეალერსებოდა ჩემი დიდიხნის უნახავი საყვარელი დედა. ჩვენ ერთმანეთს არ ვცილდებოდით. ვატყობდი, რომ დედას უძნელდებოდა ჩემთან განშორება, მაგრამ მას სამშობლო ეძახდა, ამიტომ კვლავ ბრძოლის ველს უნდა დაბრუნებოდა. როცა გამომემშვიდობა და წასვლა დააპირა, უცნაურმა სევდამ შემიპყრო. ტირილით გადავეშვი იქვე გათხრილ ორმოში, ხელებითა და კბილებით ვთხრიდი მიწას. დედამ ალერსით ამომიყვანა თხრილიდან. ცრემლიანი თვალები ამარიდა, მკერდში ჩამიკრა და დამშვიდება დამიწყო. ჩვენ დიდხანს ვიყავით ასე ჩახვეულნი. ალბათ ორივენი ვგრძნობდით, რომ ეს შეხვედრა უკანასკნელი იყო"... — იგონებს გივი.

ქეთევანი წავიდა.

1943 წლის შემოდგომა. სისხლისმღვრელი ბრძოლები დნეპრზე. 8 ოქტომბერს ქეთევანის ნაწილმა ბრძანება მიიღო ერთი ჯგუფი დნეპრის მარჯვენა მხარეს გაეგზავნათ. მათ ერთი მედიცინის და უნდა გაჰყოლოდა. ეს რთული დავალება ქეთევანმა იკისრა.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ცეცხლში უხდებოდა ქეთევანს მუშაობა. ის გაბედულად შედიოდა ბრძოლის ველზე და ხოხვით, ზურგზე მოკიდებული გამოჰყავდა მძიმედ დაჭრილები. 25 ოქტომბერს, მორიგი საბრძოლო დავალების შესრულებისას ქეთევანი მძიმედ დაიჭრა და სასწრაფოდ მიიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ქირურგმა პარმენ ჭახრაკიამ ოპერაცია გაუკეთა.

ქეთევანს განგრენა დაეწყო. სიკვდილის წინ შვილს და დედას ახსენებდა.

— სანამ ჩემი შვილი არ დავაჟკაცდება, მანამ დაღუპვის შესახებ არაფერი უთხრათ. დაე, მელოდოს, — ჩურჩულით სთხოვა იქ მყოფთ მომაკვდავმა.

ქეთევანი გარდაიცვალა. მისმა ფრონტელმა მეგობრებმა მხედრული პატივით მიაბარეს სოფელ ოზირიშის მიწას. დასაფლავებას დაესწრნენ 47-ე არმიის დამკვრელი ბრიგადის მეთაური და პოლიტიკური კომისარი.

ფრონტელმა მეგობრებმა ქეთევანს შეუსრულეს ანდერძი — დავაჟკაცების შემდეგ უამბეს გივის დედის დაღუპვის ამბავი.

... გივი ასათიანმა იმოგზაურა უკრაინაში. კიევის ოლქის სოფ. ოზირიშში ნახა დედის საფლავი, რომელსაც დიდი სიყვარულით უვლიან მოძმე უკრაინელები. მან ცხარე ცრემლებით დაიტირა შინმოუსვლელი დედა, ყვავილებით შეამკო მისი საფლავი და საქართველოდან ჩატანილი ერთი მუჭა მიწა მოაყარა.



ვერა ბოკერია

* * *

ვერა სევერიანეს ასული ბოკერია ბაქოში დაიბადა. საშუალო განათლება თბილისში მიიღო, შემდეგ ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, სადაც ორი წელი სწავლობდა. მესამეკურსელი დაქორწინდა ბაქოელ აკოფ კაგრამანოვზე. შეეძინა ვაჟი — რობერტი.

1936 წელს ვერა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გადმოვიდა, მაგრამ ვერ დაამთავრა. ბავშვის ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, კვლავ ბაქოში წასულიყო და მუშაობა დაეწყო ერთ-ერთი პოლიკლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში.

იქუხა ომმა. აკოფი არმიაში გაიწვიეს. მალე ვერაც ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მისი თხოვნით იგი № 117 საველე ჰოსპიტალში ჩარიცხეს, სადაც მეუღლე მსახურობდა.

1941 წლის ბოლოს № 117 ჰოსპიტალი, რომელიც 51-ე არმიაში ირიცხებოდა, დესანტად გადასხეს ყირიმში. იქ წასვლის წინ ვერამ და აკოფმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს და შვილს გაუგზავნეს წარწერით: „სახსოვრად საყვარელ შვილს რობერტ აკოფის-ძე კაგრამანოვს დედისა და მამისაგან. გაუფრთხილდი თვალისჩინივით".

ვერას ჰოსპიტალი ქ. ქერჩში, ვოიკოვის ქარხანასთან დაბანაკდა. მედიცინის მუშაკებს მეტად დაძაბულ მდგომარეობაში უხდებოდათ მუშაობა, დაჭრილ მებრძოლებს ცის ქვეშ მოწყობილ პუნქტში იღებდნენ.

საველე ჰოსპიტალში დაუღალავად შრომობდნენ ექიმები: ი. ჩახუნაშვილი, მ. მარდალეიშვილი, შ. თოიძე, ქ. კახიანი, ლ. გორგაძე, ი. ძაგნიძე, ექთანები: ვ. ბოკერია, თ. შარაშიძე, ვ, პაუენტოვა, ო. ბანძელაძე, გ. ბოლქვაძე, თ. გეგენავა, ზ. გიორგაძე, თ. ნადარეიშვილი, ს. ჩაჩიბაია და სხვები.

ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში იყვნენ კომუნისტები. მძიმე განსაცდელის ჟამს ისინი პირველნი მიდიოდნენ ცეცხლის ხაზზე, მათ დანარჩენები ბაძავდნენ.

1942 წლის აპრილში წინა ხაზზე წავიდა კომუნისტი აკოფ კაგრამანოვიც. იგი მხოლოდ წერილებით უკავშირდებოდა ვერას.

მეუღლესთან სიშორეს ძლიერ განიცდიდა ვერა. იმ დღეებში მულისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „..აკოფი აღარ არის ჩემთან, ჩვენ 30 კილომეტრით დავშორდით ერთმანეთს. წერილებს ხშირად ვიღებ. ჯერჯერობით ორივენი კარგად ვართ. შემდეგ კი ვნახოთ რა იქნება.

ლენა, რობერტს მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება. არ აწყენინოთ, კარგად ჩააცვით. ის ერთი დაგვრჩა ჩვენ უდედოდ და უმამოდ. ძალიან მენატრება, დედა ენაცვალოს. გამომიგზავნეთ მისი კარგი სურათი. წერილები ხშირად მომწერეთ. წერილები გვამხნევებს და ძალას გვმატებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ფრონტის მოწინავე ხაზზე მყოფი, ერთად-ერთ შვილზე ფიქრით აფორიაქებული მეომარი მამა აკოფ კაგრამანოვი 1942 წლის აპრილის ბოლოს დას და სიძეს სწერდა: „მე უკვე დამაცილეს ვერას. ვერა თავის ადგილზე დარჩა, მე კი მოწინავე ხაზზე ვარ. გაბარებთ ჩემს ერთადერთ შვილს — რობიკოს. ყველაზე მეტად მას გაუფრთხილდით. დედას არ გააგებინოთ, რომ ვერას დამაცილეს. სამშობლოს ინტერესებმა მოითხოვა.

ვერა ცოდოა, ძალიან განიცდის ჩემს დაცილებას. ამიტომ ხშირად მისწერეთ წერილი და გაამხნევეთ. მაგრად დამიკოცნეთ ჩემი რობიკო. ნახვამდის. გკოცნით..."

1942 წლის მაისში, როცა ჩვენი ჯარები მეორედ ტოვებდნენ ქერჩს, მტერმა სასტიკად დაბომბა ჰოსპიტლის განლაგება. ვერა მძიმედ დაიჭრა. ყველას ევედრებოდა მიშველეთ, ნუ მომკლავთ, იქნებ გადამარჩინოთო. ქირურგებმა მზრუნველობა არ დააკლეს, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო იყო და ვერ შეძლეს მისი გადარჩენა.

— ვაიმე, შვილო რობერტ, ჩემო ობოლო შვილო, — თქვა ვერამ და სამუდამოდ დახუჭა თვალები. მისმა ფრონტელმა მეგობრებმა ოლია ბანძელაძემ, თამარ შარაშიძემ, ზინა გიორგაძემ, თამარ გეგენავამ და სხვებმა ცხარე ცრემლებით დაიტირეს ვერა და დიდი პატივით მიაბარეს ქერჩის მიწას.

ყირიმში დაიღუპა აკოფ კაგრამანოვიც.

შინმოუსვლელი მშობლების სიცოცხლეს აგრძელებს მათი შვილი რობერტი. იგი ამჟამადაც ბაქოში ცხოვრობს. დავაჟკაცდა, დაოჯახდა და ოთხ შვილს უზრდის სამშობლოს.

**მარგო კიკაბიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბედნიერება

კოტე მარჯანიშვილი წერდა: — „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა—მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. უდავო ჭეშმარიტებაა! ოღონდ შეუძლებელია ჭეშმარიტი ხელოვნება არსებობდეს იქ, სადაც წვა არ არის. ხელოვანი შემოქმედებაში იწვის და ამით აცისკროვნებს სამყაროს. ციალა კანდელაკიც ქართული ხელოვნების დიდი ჭაღის ერთი პატარა ლამპარია, ჩვენი დროის თვალსაჩინო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ზრუნვით დანთებული. შეგირდმა გაუმართლა ოსტატს იმედი და თავისი ფერადოვანი ნიჭის წყალობით მოგვევლინა როგორც დასრულებული მხატვარი. იგი ღირსეულად ამართლებს ქართველი ხელოვანის საპატიო სახელს. ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილმა, ციალა კანდელაკის ნამუშევრების პერსონალურმა გამოფენამ, საქვეყნოდ გამოტანილმა მისმა შემოქმედებითმა მონაპოვარმა. მაგრამ ეს ყოველივე უკანასკნელი წლების ნახელავია; და თუ გონების თვალს გადავავლებთ მის მიერ განვლილ გზას, დავრწმუნდებით, რომ მხოლოდ შეუპოვარი შრომა და დაუღალავი ძიება იყო მეგზური ციალას შინაარსიანი ცხოვრებისა. მე ბედნიერება მქონდა სტუდენტობის წლებიდანვე თვალყური მედევნებინა მისი პროფესიონალური სრულყოფა-დაოსტატებისათვის.

უდიდესმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა მოუწონა პირველი ფერწერული ტილო დამწყებ მხატვარ გოგონას, მანვე დაულოცა გზა დიდი ხელოვნებისაკენ. ადამიანის მდიდარი სულიერი სამყაროს დანახვა და მისი დასურათხატება,— აი რა თვისება გასდევს ნათელ ზოლად ციალა კანდელაკის შემოქმედებას. მხატვარმა 1966 წელს შექმნა სადებიუტო ტილო — „კლდის ვეფხვის“ მიხეილ ხერგიანის პორტრეტი, რომელსაც დღესაც საგანგებოდ ინახავენ მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ბევრი საინტერესო ტილო მიუძღვნა მხატვარმა სვანეთს; თვალს ახარებს თეთნულდის, უშბის და შხარის ფონზე მშვიდი კოლორიტით დაწერილი პეიზაჟები. ამავე პერიოდში იგი ინტენსიურად მუშაობს სხვა პეიზაჟებზეც: დავით კლდიაშვილის მშობლიური სიმონეთის მიდამოები, შორეული ხატოვანი ხედები; მთის ფერდობებზე მიმოფანტული, კრამიტით დახურული სახლები, ტყის მიხვეულ-მოხვეული გზები, კოინდრიანი ეზოები, მკლავებგაშლილი კაკლები და... ყველგან მზე, მზე ნათელი და ცხოველმყოფელი...

ციალა კანდელაკი ნაყოფიერად მუშაობს პორტრეტულ ჟანრშიც. პორტრეტების მთელი სერია მიუძღვნა მხატვარმა ქართველ მეცნიერებს. ეს სერია მაღალი პროფესიონალური შესრულებით გამოირჩევა, ამასთან ერთად, მხატვარი ხსნის მოდელთა ინდივიდუალურ თვისებებს. ესენი არიან: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ვაჩეიშვილი, პროფესორი იასე ცინცაძე; ექიმი-პთიზიატრი მიხეილ მგელაძე, დოქტორი რუსუდან ბურუსაშვილი და სხვები. ძნელი სათქმელია, ციალა კანდელაკი პორტრეტის ხატვაში უფრო ძლიერია თუ პეიზაჟისა. ვფიქრობთ, ორივე თანაბრად ემარჯვება. ეს გამარჯვება ამასწინანდელ გამოფენაზეც ნათლად დადასტურდა: ზაფხულისა და შემოდგომისათვის დამახასიათებელი ფერებით დასურათხატებული პეიზაჟები დავით კაკაბაძისეულ მადლს მიგვანიშნებს; ამასთან, მათში თვალნათლივ იგრძნობა მხატვრის თავისთავადობა, მხოლოდ საკუთარი მანერა. აღნიშნულ პეიზაჟებში მხატვრის ოსტატობა და სამშობლოს უზომო სიყვარული ჰარმონიულად არის შესისხლხორცებული.

ციალა კანდელაკის მიერ რეალისტურად შესრულებული პორტრეტების დათვალიერებისას მხატვრის ოსტატობით ისევე რჩებით გაოცებული, როგორც გაოცებთ მისი „გოგონა ზღაპრის შემდეგ“. მის პორტრეტებში აშკარად ჩანს ავტორის სტილი, ნატურის დიდი სიზუსტითა და მხატვრული სიმართლით გადმოცემა, ინდივიდუალურ ნიშანთვისებათა მინიშნება.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს „ჩემი ქალიშვილი იებით“. ეს კდემამოსილებისა და სინაზის სიმბოლოა, თითქოს პორტრეტიდან მოჰბერს გაზაფხულის სურნელი, კვირტთა ფეთქვა.

სრულიად საწინააღმდეგო განწყობილებას გვიქმნის მანანა ჩიქოვანის პორტრეტი, რომელსაც მხატვარმა „სევდა“ უწოდა. პორტრეტი შემოდგომის სუსხში მოხვედრილ ზამბახს გაგონებთ, რომელიც მაინც აშოლტილა ჩვეული შემართებით, მაგრამ სევდიანი და გულმოკლულია. სურათში მუქი ფერი სჭარბობს, რაც ჩანაფიქრს ფსიქოლოგიურად აძლიერებს.

ციალა კანდელაკმა გამოფენაზე მრავლად წარმოადგინა მშვენიერ ქართველ მანდილოსანთა პორტრეტები; მათში შემოქმედი ფერთა ნაზი ტონალობით „იჭერს“ ხასიათსა და გამომეტყველებას. თუმცა ყოველ მათგანში ნათლად ჩანს გაიდეალების ტენდენციები, მაგრამ ამას ნაკლად ვერ ჩაუთვლით, რადგან მხატვარი სილამაზეს აიდეალებს. მხატვარს ასევე ინდივიდუალურ თვისებათა მინიშნებით აქვს შექმნილი: ოთარ კლდიაშვილის, იაკობ ხვედელიანის, სანდრო მარგველაშვილის, ოთარ რჩეულიშვილის პორტრეტები.

ციალა კანდელაკი შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად მეტად საინტერესო პედაგოგიურ მუშაობას ეწევა: იგი პიონერთა რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის გამგეა, მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის მესვეურია. 300-ზე მეტ ბავშვს თავს დასტრიალებს ციალა მასწავლებელი, გულდასმით ასწავლის ხელოვნების ქმნილებათა სწორად აღქმის საიდუმლოებას, აცნობს გამოჩენილ ხელოვანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, უნერგავს მხატვრობის პრაქტიკულ ჩვევებს.

შეგირდებს ვერ დაემდურება ციალა მასწავლებელი: ათობით მისი შეგირდი წარმატებით ამთავრებს სამხატვრო აკადემიას, მიჰყვება ოსტატის ნაკვალევს. ციალა კანდელაკი მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, იგი მესამედ არის არჩეული მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ყოველთვის ამართლებს ამომრჩევლების ნდობას.

რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, — როგორც კომუნისტი და ხელოვანი ერთგულად ემსახურო შენს სამშობლოს, შენს ხალხს, გერქვას მხატვრის დიდი სახელი, იყო დედა, აღმზრდელი და მასწავლებელი!

გაიოზ იაკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა











მხატვარ ციალა კანდელაკის ნამუშევრები

# ჩაი იმერული

რეპორტაჟი

„გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ჩაის მრეწველობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო ორგანიზაციების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკებს სახელმწიფოსათვის 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას". ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებს რომ კითხულობდნენ ჭიათურელი მეჩაიეები, გული სიამაყით ევსებოდათ, რადგან რესპუბლიკის დიდ წარმატებებში მათი მცირე წვლილიც იყო — 825 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს უმნიშვნელო ციფრია 350 ათას ტონასთან შედარებით, მაგრამ აქ ჩაი უჩვეულო ნიადაგში, უჩვეულო პირობებშია მოწეული, სადაც ზამთარში ზოგჯერ თოვლი ისე გადაათეთრებს მიდამოს, ჩაის პლანტაცია კი არა, მის ირგვლივ ტანაყრილ ტყესაც წვეროებიღა მოუჩანს, ზოგჯერ კი მიწას თრთვილივით გადაკრული მშრალი ყინვა ძირფესვიანად ახმობს ამ სათუთსა და ნაზ კულტურას. ზაფხული კი ან უსაშველოდ ცხელია, ან ზედმეტად ტენიანი. ასეთ პირობებში მეჩაიეებს უფრო მეტი, უფრო დაძაბული შრომა უხდებათ და ამიტომ მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ჩაის ასეული ტონებიც კი მნიშვნელოვანია, მით უფრო, თუ იგი ხარისხით საუკეთესოა.

შავი ქვითა და წითელი მარმარილოთი მდიდარი იმერეთის მიწა ოდითგანვე მწირად იყო მიჩნეული სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის. ეს კი იყო, რომ უზომოდ მოტრფიალე იმერელი გლეხი ძალღონეს არ იშურებდა ვენახისათვის. ზოგჯერ არც ეს უმართლებდა იმედს, მაგრამ მოვლას მაინც არ აკლებდა და ჭიათურის სოფლებშიც მთავარ დარგად მევენახეობა რჩებოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის ეკონომიკაში იგი დიდ შემოსავალს ვერ იძლეოდა.

ჩაის კულტურას ზემო იმერეთში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. გახარების იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ პირველი თესლი მაინც ჩააგდეს მთის სოფლის გეზრულის მიწაში 1937 წელს, ანასეულის ჩაის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მაშინ მხოლოდ 2 ათას კვადრატულ მეტრზე გაიხარა ჩაის კულტურამ. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ — შეეგუებოდა თუ არა იგი იმერეთის მკაცრ ზამთარს. მერე ქვეყანას ომის სადარდელი გაუჩნდა და აღარავის ეცალა ზემო იმერეთის სოფლებში ჩაის გასახარებლად, გეზრულის წაბლის ტყეებში გაშენებულ ჩაის პატარა პლანტაციას ბალახი მოერია, გაუხეშდა, გადაგვარდა. ყინვამაც ხელი დარია და დარჩა ოცნება აუხდენელი.

მაგრამ როცა ომის ქარცეცხლი მიწყდა, როცა ქვეყანამ ჭრილობების მოშუშება დაიწყო, ისევ დაიბადა ჭიათურაში ჩაის პლანტაციების გაშენების იდეა. რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების, პირადად პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის, აწ განსვენებული შალვა ხიდაშელის ინიციატივითა და მხარდაჭერით ჭიათურის სოფლებში მასობრივად დაიწყო ჩაის გაშენება. დახმარებისათვის ისევ ანასეულის ჩაის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს მიმართეს და ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა შემწეობით სოფლის მშრომელებმა 1950 წელს 5 ჰექტარზე გააშენეს ჩაის პლანტაცია გეზრულსა და ეწერში. პირველი მოსავალი იმდენად უხვი და ბარაქიანი იყო, რომ იმერელ კოლმეურნეს ვაზთან ერთად მეორე დიდი საზრუნავიც გაუჩნდა — ჩაი. მომძლავრდა წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, სოფლები თანდათან დამშვენდა ორსართულიანი კოხტა ოდებით. 1956 წელს ჩაის პლანტაცია უკვე 316 ჰექტარზე იყო გაშენებული ჭიათურის რაიონში.

პირველ წლებში მოკრეფილი ჩაი გადასამუშავებლად ტყიბულისა და წყალტუბოს ჩაის ფაბრიკებში იგზავნებოდა, მაგრამ როცა ჭიათურაში მეჩაიეობა საკმაოდ მომძლავრდა, ჩაის ფაბრიკაც ააშენეს. 1962 წლის 8 მაისს ჭიათურის ჩაის ფაბრიკამ პირველი პროდუქცია — 165 ტონა მაღალი ხარისხის ჩაი გამოუშვა.

1969 წლის მკაცრმა ზამთარმა სანახევროდ გაანადგურა ჩაის პლანტაციები. 80 ჰექტარზე ისე ერბაშად მოიყინა ახალშენები, რომ ხელახლა გადახნეს ნიადაგი. სადაც ბუჩქები დიდი ხნისა იყო, იქ მძიმედ გასხლეს. იმედი მაინც არ დაუკარგავთ ჭიათურელ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ისევ ჩაყარეს მიწაში ახალი თესლი.

დღეს 375 ჰექტარზეა გაშენებული ჩაის კულტურა. ჭიათურის საზოგადოებრივ მეურნეობებში მემცენარეობის დარგიდან ჩაი შემოსავლის 60 პროცენტს იძლევა, გეზრულისა და ეწრის კოლმეურნეობებში კი — 80 პროცენტს.

1975 წელს ხელსაყრელი ამინდი არ იყო, მაგრამ ჭიათურის საზოგადოებრივ მეურნეობებში მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1976 წელს კი წარმატებით გაანაღდეს ვალდებულება — 825 ტონა ფოთოლი ჩააბარეს. (გეგმა მხოლოდ 720 ტონას ითვალისწინებდა). ჭიათურის ჩაის ფაბრიკის პროდუქცია, მათ შორის „საქართვე-



ლოს თაიგული“ მარტო რესპუბლიკის ქალაქების ჩაის გადამწონ ფაბრიკებში კი არა, მოსკოვში, ალმაათაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კორეის სახალხო რესპუბლიკაში, კუბაში იგზავნება.

მეჩაიეობაში ძირითადად ქალები მუშაობენ. ოჯახის თავკაცები მაღაროში მადანს ანგრევენ. დროდადრო მაღაროელებიც ეშველებიან, მაგრამ ძირითადად მაინც ქალებს უხდებათ ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გათოხნა, შეწამვლა, გასხვლა და მოკრეფა. შრომის გმირი მეჩაიეები არა ჰყავს ჭიათურას, ორდენოსნები და მოწინავეები კი ბევრნი არიან. განა გმირობა არ იყო ყინვისაგან დაზიანებული ჩაის ხელახლა გაშენება? რამდენი შრომა დასჭირდათ აგრონომებს ჯაჯალა კუპატაძეს და გულნარა ბიწაძეს, როცა 1950 წელს პირველი პლანტაციები შენდებოდა ჭიათურის სოფლებში და მერეც, 1969 წლის მკაცრი ყინვით გადამწვარ პლანტაციებს რომ ხელახლა აშენებდნენ. თითქმის ყველა სოფელში, ყველა ბუჩქს შეავლეს ხელი, რათა გაეგოთ, რომელ მათგანს შერჩენოდა კიდევ სიცოცხლის პატარა ნიშანწყალი. ახლა ფერდობებზე შეფენილ ხასხასა ბუჩქებს რომ უყურებენ, ხშირად ის პირველი მძიმე და ძნელი დღეები აგონდებათ. ვინ იცის, რამდენი ოფლია ჩაღვრილი ამ პლანტაციებში და განა მარტო მათი? იმ მშრომელი ქალებისაც, დღეს მკერდს ორდენები და მედლები რომ უმშვენებთ. ესენი არიან ეწრელები ალვასი სარალიძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარგალიტა სარალიძე, ბაბო გურჯიძე, მედიკო კაპანაძე, ქვაციხელი ჟენია ბრეგვაძე, თვალუეთელი ვენერა ბიწაძე და ფაცია მოდებაძე, მანდაეთელი თინა და მარუსა ჩინჩალაძეები, გეზრულელი ეთერ კაპანაძე. სწორედ მათმა გამრჯე მარჯვენამ ასახელა ქართული მანგანუმის ქალაქის სოფლის მეურნეობა მეცხრე ხუთწლედის ბოლოსაც და მეათე, ხარისხის ხუთწლედის პირველ წელსაც წარმატებით შესრულდა აღებული ვალდებულებები მეჩაიეობაში.

მეათე ხუთწლედი დაძაბულია ჭიათურელი მეჩაიეებისათვის. ხუთწლედში 260 ჰექტარზე გაშენდება ჩაის ახალი პლანტაციები, ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდება ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა და წარმოება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოებრივ მეურნეობათა შემოსავალს, ხელს შეუწყობს მათი ეკონომიკის გაძლიერებას. ამ დიდი ამოცანების შესასრულებლად ზამთარშივე დაიწყეს ზრუნვა ჭიათურელმა მეჩაიეებმა. მათი თავდადებული შრომა გვარწმუნებს, რომ ისინი მეათე ხუთწლედის დავალებებს წარმატებით გაართმევენ თავს.

არა, აქ არც ზღვის სურნელება ტრიალებს, არც ნარინჯებით დაფარული ველებია. აქ ზამთარი ზოგჯერ უსაშველოდ ცივია და ზაფხული უსაშველოდ ცხელი, მაგრამ ამ მიწაზე მოწეული ჩაი მაინც საუკეთესოა, სურნელოვანია, გემრიელია.

**ლეილა ბიწაძე,**
პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფჰუს ბზია

ამას წინათ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევების გამო 1977 წლის რესპუბლიკური სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ. მათ შორის არის სოფელ ლიძავის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ტატიანა გუბლია! მშრომელი ქალის ამ გამარჯვებამ ლიძავის გზაზე დამაყენა. ის იყო გაიღვიძა აფხაზეთის ამ ულამაზესმა სოფელმა. ირგვლივ ატეხილ მუხნარში ნისლი ჩადნა და მარტის მზემ ღამით სუსხდაკრული სიმწვანე შეათბო. ახმაურდა გზისპირს ჩარიგებული კოპწია სახლების ეზოები, პირისფრად და თეთრად აკიაფდა ხეხილი.

კოლმეურნეობაში თავაზიანად მიმიღეს, ქებით მოიხსენიეს თავიანთი თანასოფლელი, სახელოვანი მუშა ქალი, მაგრამ მაცნობეს, რომ ტატიანა გუბლია მეუღლესთან ერთად სოხუმში იყო წასული ავადმყოფი მულის სანახავად. შევწუხდი, ნუთუ ჩვენი შეხვედრა უნდა გადამედო? სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ტატო ფაღავა მიმიხვდა ფიქრს, დამაიმედა: დღესვე ამობრუნდება, საღამოს აქ იქნება, ცოტა მოცდა დაგჭირდებათო.

— ტატიანამ ძალიან გვასახელა, — მითხრა მან, — რაც ჩვენი რძალი გახდა, იმ დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობს, უკვე 22 წელიწადია... მუყაითია და გულმოდგინე. თავის სოფელშიც ემადლიერებოდნენ. გუდაუთელია, ბჟანიას გვარისა, თავისი მეუღლე სარდიონ გუბლია და ის ერთად შრომობენ მესამე ბრიგადაში. ტკბილი ოჯახი აქვთ.

თანამოსაუბრემ თვალწინ გადამიშალა ტატიანას ბეჯითი შრომა-საქმიანობა კოლმეურნეობასა თუ ოჯახში. კეთილი სიტყვა არც მთავარმა აგრონომმა გაიოზ რაზმაძემ დააკლო.

ერთიორად გამიცხოველდა ამ მანდილოსნის გაცნობის სურვილი, მოუთმენლად ველოდი...

მდუმარედ იწვა ზღვა... მისი კამკამა კაბადონების მზერაში დრო ჩაილია.

კანტორის ღია სარკმლიდან თვალი მოვკარი, რა მსუბუქად გადმოვიდა მანქანიდან შუახნის ქალი და აჩქარებით ამოვიდა კიბეზე. „მოვიდა, მოვიდა“ — მახარეს აქეთ-იქიდან.

— როგორ არის ავადმყოფი? — თანაგრძნობით შემოეხვივნენ მეგობრები.

— ცუდად. პროფესორი ოპერაციისაგან თავს იკავებს.

ქალმა დარდს სძლია და კეთილი ღიმილით მომესალმა. უხერხულობაში ჩავვარდი, მომერიდა ასეთ დროს საუბარი, მაგრამ მშრომელმა ადამიანმა იცის სხვისი შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაფასებაც. სახიდან უმალ გადაიყარა ქუფრი და მალე რაფწის მიდამოში, მის ნაკვეთში დიდიხნის მეგობრებივით ვსაუბრობდით. გადახნულ მიწას სასუქი ეყარა.

— ჩითილის დარგვა 15-20 აპრილს დავიწყეთ, თუ დარი დაიჭირა, საქმეს ეშველება. მერე მიწას გავაფხვიერებთ... ისეთი ხალისით ლაპარაკობდა ტატიანა, როგორსაც მხოლოდ შრომის სიყვარული ჰბადებს.

— ჩანს, გიტაცებთ მეთამბაქოეობა!

— ძალიან... ეს სიყვარული დედისაგან გამომყვა. 80 წლისა იყო, მაგრამ ამ საქმეს მაინც ვერ ელეოდა.

— თამბაქო ყვავილობს?

— როგორ არა! დარგვიდან თვენახევრის მერე ლამაზი ყვავილი იცის, მოთეთროვარდისფრო, მაგრამ ვაცლით, თამბაქო რომ ხარისხიანი გამოვიდეს.

— რა ჯიშის თამბაქო მოგყავთ?

— სამსუნისა...

— როდის შემოდის?

— ივნისიდან ვიწყებთ მოტეხვას, ვიდრე ნოემბრამდე, სანამ მწვანეა, ექვსჯერ ვასწრებთ აღებას, მერე გალებად ვწნავთ და ვაშრობთ ჩასაბარებლად.

ტატიანამ მეორე ნაკვეთიც დამანახვა, რომელიც გაღმით გაშლილ მინდორზე „გულამობრუნებული" ელოდა თავის გამოსაზრდელ თამბაქოს ჩითილებს.

ამ ნაკვეთების სიმწვანემ, აქ დატრიალებულმა შრომის მადლმა სახელოვან ადამიანთა შორის დააყენა ეს ხელმარჯვე მშრომელი ქალი, მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი, მეათე ხუთწლედშიც ხვავიანი შრომის კვალში დგას.

გუბლიებს თავიანთი კოხტა სახლი ქოთნის ყვავილებით დაემშვენებინათ. სისადავე და სისუფთავე ამ მყუდრო კერიის სულიერ სიმდიდრეს ადასტურებდა.

— ეს ჩემი ტყუპები არიან! — მომაწოდა ტატიანამ ფოტოსურათი — ბისლანი და რუსლანი, ჯარში არიან, ორივე უფროსი სერჟანტია, მალე ჩამოვლენ... თვალები გაუბრწყინდა დედაქალს.

—ეს ორი გყავთ?

— ხუთი! — სანდომიანად გამიღიმა, — უფროსი ქალი ლალა ბიჭვინთის პურის ქარხნის მუშაა, აი, ეს ჩემი მეორე ქალი, სვეტლანა — წარმომიდგინა ოთახში შემოსული ქერა, ლამაზი გოგონა — წლეულს ათწლედს ამთავრებს, ვლადიკი კი სოხუმის საკულინარო სასწავლებლის პირველ კურსზეა. კარის ზღურბლზე დარბაისელმა აფხაზმა ვაჟკაცმა გადმოაბიჯა, კეთილი გულით მოგვესალმა და თავის დიასახლისს რაღაც ანიშნა. ჩამშვიდდა ოჯახის უფროსი, როცა მისმა ქალიშვილმა სუფრაზე ცხელი ღომი და საწებელი შემოდგა...

მაგიდის ცალ მხარეს ფოტოები და გაზეთები ეწყო. ერთი სურათი ამოვარჩიე. შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებითა და მედლებით დამშვენებული მისი მკერდი, მიგვანიშნებს ტატიანა გუბლიას შემოქმედებითი შრომით მდიდარ ბიოგრაფიაზე. სიამოვნებით გადავიკითხე ტატიანას სახელზე მოსული მოლოცვის ბარათები სახელმწიფო პრემიის მინიჭების გამო. ერთს ხელს აწერდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ილია ვეკუა, მეორეს — აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, მესამეს — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა.

პრესაში გამოქვეყნდა გულთბილი წერილები ამ სახელოვან კოლმეურნე ქალზე...

— ტატიანა, როგორია თქვენი ახალი შრომითი გეგმები?

— მე და ჩემს მეუღლეს 0,80 ჰექტარი თამბაქო გვაქვს გაპიროვნებული, თითოეულს 0,40 ჰექტარი, გეგმით 600-600 კილოგრამი უნდა ჩავაბაროთ. ჩემ წილად პირობა დავდე 800-900 კილოგრამი, მეუღლესთან ერთად — ტონანახევარი ჩავაბარო. ეხლა სწორედ სანერგეში ვარ მისასვლელი — ჩითილის ხარისხი უნდა შევამოწმო. ამთავითვე ჭირდება ზრუნვა. ამასთან ეს ჩემი პარტიული დავალებაც არის.

მესამე ბრიგადაში ქალთა სახელოვანი სამეული გვყავს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანია მეთამბაქოე ტატიანა აკრბა, ეთერი აკრბა კი დაჯილდოებულია მედლით — „შრომითი მამაცობისათვის".

...ხელთ მომხვდა ტატიანა გუბლიას სახელზე მოსული მადლობის ბარათი, რომელიც გ. მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტს გამოუგზავნია.

— ჩემი მეუღლის ნათესავი ახალგაზრდა კაცი ავარიაში მოჰყვა, სისხლის გადასხმა დასჭირდა... ახლა მეტყვის ხოლმე: შენ გადამარჩინეო...

თურმე სხვა კიდევ რამდენი სიკეთე ბუდობს ამ ადამიანში!

— როგორ იტყვიან აფხაზურად მშვენიერიაო?

— იბზიენა, — მომიგეს მასპინძლებმა.

— ყოველი სიკეთით შემკული ქალი როგორ ითქმის?

— აფჰუს ბზია!

ამ სიტყვებით მინდა შევკრა ჩემი ეს პატარა საუბარი ტატიანა გუბლიაზე.

ქეთევან ჭილაშვილი

ირმა გურიელი

## მამულს

შენ — სიყვარულის დიდო თილისმავ,
საუკუნეთა გამძლევ.
შენით მხნესა და შენით ბედნიერს
ქვეყნად ვერავინ დამძლევს!
დავძლევ ყველა გზას, გავალ ყველა წყალს,
შენით დევგმირიც, ლალიც,
ფრთებს გამოვისხამ, ღრუბელს დავსერავ,
გინდა გავხდები ბალღიც.
სუროდ ამოვალ, ღეროდ ბალახის,
ან შენი მიწის ვერხვად,
თუ გაგიჭირდა, ნახტომს მოვზომავ,
გადავიქცევი ვეფხვად.
სიკვდილის დღემდე შენზე სიავით
ნუმც ამეცრემლოს თვალი,
ქვესკნელს ჩაგყვები, ზეცას შეგწვდები,
ერთი პატარა ქალი.
იყავ მაღალი, იყავ დიადი,
ლაღი, ვით ნიავ-ქარი,
არა, არასდროს არ დადუმდება
შენთვის მგზნებარე ქნარი!
შენ გაგიმარჯოს! შენზე მლოცველი
დავალ პატარა ქალი!

აკაკი ძინძიბაძე

## ქართლის ფერები

დიახ, მოვტაცე ტრამალს ფერები,
ფრენა მწადია — გულო, ნუ ცხრები,
წავალ, გაზაფხულს მივეშველები;
ამ ველ-მინდვრებზე შემოვუძღვები.

დიახ, წავართვი წყაროს ჩანგები,
ცას — მტრედისფერი განთიადები,
მტვრიან შარაზე დავიკარგები
ავმაღლდები და გავდიადდები.

დიახ, წავგვარე ტინებს სიმაგრე,
მზეში ცურავენ ჩემი კორდები,
კლდეზე არწივის ბუდეს მივაგნებ,
ტყეში შვლის ნუკრებს გავუტოლდები.

სულში სიცოცხლედ ჩამეწურება
მკერდზე მომდგარი ფრონის ჩქერები,
ჯერ დიდხანს მინდა ამ მზის ყურება,
შორს არს დაკრეფა გულზე ხელების.

ზეიმს ბუნების მეც შემოვყვები
მკერდს ჩამიკრავენ მძლავრი მუხები,
გამეშლებიან ფეხქვეშ ნოხები
და ქართლის მზეში გავიხუხები.

დიახ, დაისი, ვიცი, ადრეა,
ჯერ აჩემებულ ბილიკს მივყვები,
ჩემი სამოთხე, ძმებო, ქართლია,
მისგან არც როდის გავირიყები.



რადიოს თეატრალური გადაცემის რედაქციაში



ტელევიზიის საბავშვო გადაცემის რედაქციაში

# მებრძოლი იუბილარები

დიახ, ისინი იუბილარები არიან: საქართველოს რადიო. საქართველოს ტელევიზია.

ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან,ამიტომ სახელწოდებაც საერთო აქვთ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი. ოღონდ ესაა, ასაკით განსხვავდებიან — რადიო 50 წლისაა, ტელევიზია — 30-სა. და ჩვენს რესპუბლიკაში ეს თარიღები წლეულს ერთად აღინიშნა, ერთსულოვნებითა და სიყვარულით.

„საბჭოთა რადიოს ხმა ჩვენი ეპოქის ხმაა, მისი მოწოდება და ძახილია!" „საბჭოთა რადიო და ტელევიზია მილიონთა ტრიბუნაა!" — გაისმოდა იმ დღეებში. „კომუნისტური მშენებლობის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, აღზრდის, თეორიისა და პრაქტიკის, პარტიის ეკონომიური სტრატეგიის, პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი, აქტუალური პრობლემებისა და საკითხების ღრმა, მეცნიერულ, თანმიმდევრულ პროპაგანდას ემსახურება ტელევიზიისა და რადიოპუბლიცისტიკა: მისი ქმედითი ჟანრები და ფორმები, მისი მგზნებარე სიტყვა და მიმზიდველი გამომსახველობითი ელვარება".

საიუბილეო ტრიბუნიდან გაისმა, როგორც ფიცი:

„პარტიის მიერ დასმული ამოცანების განხორციელებაში, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა, დიდი როლი ეკუთვნის პრესას, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, და ისინი ძალიან სერიოზულად გვეხმარებიან ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ეს დიდი პარტიული შეფასება გვავალებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რადიო და ტელევიზია, კვლავაც ჭეშმარიტად მებრძოლი ორგანოები იყოს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომ კვლავაც ნაყოფიერად ქმნიდნენ ნამდვილ, პარტიულ, შემოქმედებითს პროდუქციას, მაღალიდეურ მხატვრულ ტელე და რადიოგადაცემებს!"

ეს არ არის ლიტონი სიტყვები: ყოველდღიურად, მილიონობით ადამიანი რწმუნდება, იწრთობა, ყალიბდება, სწვდება ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში გაშლილ დიდ საქმიანობას, რაიც მეათე ხუთწლედის ნიშნით მიმდინარეობს.

რადიო რთული ორგანიზმია! ვეებერთელა კომბინატია. და ეს კომბინატი თავისი რედაქციებით ერთ ძირითად ფუნქციას ემსახურება: გაშუქდეს საღღეისო, მომწიფებული, აქტუალური საკითხები და პრობლემები, ამჟერად პარტიის XXV ყრილობის სულისკვეთებით. ოპერატიულად, ოპერატიულად და კვლავ ოპერატიულად გაშუქდეს!

ინფორმაციის მთავარი რედაქცია, პროპაგანდის მთავარი რედაქცია, ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა მთავარი რედაქცია, მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქცია, ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარი რედაქცია, საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქცია. და ამ რედაქციებში სახიერდება ყოველი უბანი ადამიანთა ცხოვრებისა, ინტერესისა.

რადიოპროგრამა დღე-ღამეში 31 საათს(!)ისმის ეთერში. მან წინ გაუსწრო დღეღამისეულ 24 საათს: წინ გაუსწრო 3 პროგრამითა და სტერეოფონური გადაცემებით. რადიო ამაყობს თავისი დიდი დანიშნულებით: იგი მასობრივი ინფორმაციის წყაროა. რადიო ამაყობს მსმენელებთან თავისი დიდი, ცოცხალი ურთიერთობით — შარშან 34 ათასი სხვადასხვა ხასიათის წერილი მიიღო. რადიო ამაყობს თავისი თეატრით („თეატრი მიკროფონთან"), სიმფონიური ორკესტრით, საესტრადო ორკესტრით, კაპელათი. ამაყობს, რომ ბევრი კომპოზიტორის, დირიჟორის, რეჟისორისა თუ მომღერლის დებიუტი სწორედ აქ გაიმართა. რადიო ამაყობს თავისი „ოქროს ფონდით" — იშვიათი ჩანაწერებით; ამაყობს, რომ ქართული მუსიკა რადიოს მეშვეობით გავიდა მსოფლიოში. რადიო ამაყობს, რომ ხშირად უცვლის პროგრამებს მოძმე რესპუბლიკებსა და სოციალისტურ ქვეყნებს. რადიო ამაყობს, რომ... რადიო ამაყობს, რომ... და კიდევ რომელი ერთი საამაყო ჩამოვთვალოთ, რაიც შრომით, რუდუნებითა და დიდი შევნებით მოიპოვა ამ 50 წლის განმავლობაში! რადიო ის თანამგზავრია, ის მეგობარია, რომელზეც დაუსრულებლად შეიძლება წერო, ილაპარაკო! და მაინც, რადიოს ვეტერანთან, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან — პატივცემულ პეტრე შამათავასთან საუბარი ერთი „საჭოჭმანო" კითხვით დავამთავრეთ: ტელევიზიის სახით „მეტოქე" ხომ არ გაუჩნდა რადიოს? მან მტკიცედ გვიპასუხა:

—ტელევიზიის ზრდა, მისი პოპულარობა, მისი გავლენა მასებში, ვერ ამცირებს რადიოს როლს, საზოგადოებაში მის დანიშნულებას. რადიო კვლავ რჩება ყველაზე ოპერატიული ინფორმაციის წყაროდ, მუსიკის, ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

25803

რის, თეატრალური დადგმების საუკეთესო ნიმუშების, ხალხის სხვა კულტურულ ღონისძიებათა მასებში ფართოდ გავრცელების, პროპაგანდის მძლავრ, ქმედით საშუალებად. ასეთია შემოქმედებითი გამოცდილებისა და სოციოლოგიურ გამოკვლევათა ბოლო, საიმედო დასკვნაც!

. . .

ქალთა ჟურნალს ეამაყება, რომ საქართველოს ტელევიზიის ვეტერანი და ერთ-ერთი თავდადებული მოღვაწეთაგანი ქალია: საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ივლიტა მესხიშვილი. ქალბატონმა ივლიტამ სიამოვნებით გაგვაცნო ის მიზანდასახულობა და ამოცანები, რომლებიც დღეს საქართველოს ტელევიზიის წინაშე დგას; პროგრამების ხარისხობრივი განვითარება, მათი თვისებრივი სრულყოფა, გადაცემების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება, ემოციურობის, ქმედითობისა და სოციალური ეფექტიანობის ამაღლება, მებრძოლი, პუბლიცისტური ჟღერადობა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება. და, რაც მთავარია და უპირველესია, ყველგან მასების კომუნისტური სულისკვეთების ტოლფარდი ჟღერადობა! ამას ემსახურება დღეს საქართველოს ტელევიზიის ცხრა მთავარი რედაქცია, ოცდათერთმეტი განყოფილება და სატელევიზიო ფილმების სტუდია. და აქაც ოპერატიულობა:

დღევანდელი დღე!

დღევანდელი წუთი! —

მივაწოდოთ იგი საზოგადოებას, მაყურებელს, ჩავაყენოთ ისინი საქმის კურსში.

„მე მიყვარს ჩემი დღე დღევანდელი!“ — ეს სტრიქონები დღეს საქართველოს ტელევიზიის საქმიანობას ღირსეულად მიესადაგება. დღევანდელობა და, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულში დატრიალებული საქმიანობა — გაცხოველებული, კომუნისტური, ყოვლისმომცველი! მაგრამ, ხომ არის ისტორია, რომელიც მარადიულია? ეს მარადიულობა გასდევს ტელევიზიის მთლიან ციკლს: „დიდი ოქტომბერი — 60“. ამ მთლიან ციკლში ყველა რედაქცია იღებს მონაწილეობას. ამ ციკლით გადაიცემა „ხუთწლედების ბიოგრაფიაც“, მსმენელთა დიდი ყურადღება რომ დაიმსახურა. შეიქმნა სხვა ციკლებიც: „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“, და „ახალგაზრდობის რედაქციების საკავშირო ფესტივალი“. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ტელევიზია იწყებს გადაცემათა მთელ ციკლს მოძმე რესპუბლიკებზე: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აგვისტოში წარდგება საკავშირო აუდიტორიის წინაშე. ჩვენ უნდა მოვუთხროთ ამ აუდიტორიას საბჭოთა საქართველოს მოძმე ერებთან მისი ურთიერთობების ამბავი. გადაწყვეტილია, ეს თხრობა. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მასალებზე აიგოს. ამავე პროგრამაში შევა საბავშვო კონცერტი, ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. დრო გადაცემისა 3 საათია, და ამ სამი საათის მანძილზე ფონი გადაცემისა იქნება ჩვენი ქვეყნის სილამაზე, მისი პეიზაჟები, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, ისტორიუ. ძეგლები;

სატელევიზიო ფილმების სტუდია მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ციკლებს ქმნის ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის: „დიდი ოქტომბერი — 60“. სამსერიიანი „თუში მეცხვარეები“ პირველი მერცხალია ამ ფილმებიდან. „თუში მეცხვარეები“... ფილმი, რომელმაც მოგვხიბლა სიმართლით! საქართველოს ტელევიზია იმედოვნებს, რომ ასევე დაიპყრობს მაყურებელს დოკუმენტური ფილმით — „მესამოცე პარალელით“. იგი ხომ მაგადახზე მომუშავე ქართველთა გმირულ შრომას ასახავს! აქვე გადაიღებენ ორსერიიან ფილმს (საქართველოს თემაზე) ცენტრალური ტელევიზიის შეკვეთით. „თბილისი“ „მილიონერი ქალაქების“ იმ ციკლში შედის, ცენტრალური ტელევიზია რომ ქმნის. საინტერესოა მეორე სერიის ჩანაფიქრი: შეიქმნას დოკუმენტური ფილმი ტრადიციულ ოჯახზე. გადაწყდა, ამჯერად ქართველ მევენახეთა ტრადიციული ოჯახი აისახოს. კიდევ რამდენიმე ფილმია შეტანილი ამ წლის გეგმაში. დე, გზა დავულოცოთ აქედანვე! დე, მხატვრულ სრულყოფასთან ერთად, სრულყოფილად აისახოს დიდი სიმართლე, ისევე, როგორც „თუშ მეცხვარეებში“, სიმართლე, რომ საქართველო გარჯის ქვეყანაა, რომ მისი შუბლი შრომის ოფლით არის დაცვარული, რომ მისი ღონიერი მარჯვენა კოჟრიანია! და კვლავ, საიუბილეო სიტყვა რომ მოვიშველიოთ: — ეს არის საპატიო მოვალეობა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თითოეული მუშაკისა, ყოველი რედაქტორისა, კორესპონდენტისა, დიქტორისა, რეჟისორისა, ოპერატორისა, საინჟინროტექნიკური პერსონალის, ეს არის მათი ყოველდღიური საზრუნავი, მათი უპირველესი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სისტემაში მომუშავე კომუნისტების პარტიული მოვალეობა, მათი იდეოლოგიური მოღვაწეობის დედაარსი, მათი სახელისა და ღირსების საქმე!

**ნაზი კილასონია**

# კეთილი ადამიანები

## „გთხოვთ“

მეორე წელია, ქალთა ჟურნალის რედაქციის კარს სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი კაპიტანი, ამიერკავკასიის დამსახურებული რკინიგზელი, პენსიონერი გიორგი იოსების ძე ხუციშვილი ერთიდაიგივე სიტყვით აღებს:

— გთხოვთ...

იგი ბორჯომიდან ჩამოდის საგანგებოდ:

— გთხოვთ!

რედაქციაში პატივცემულ გიორგის ვუხსნით, რომ მისი სამადლობელი წერილის გამოქვეყნება მაინცდამაინც არ არის მიზანშეწონილი: ექიმი იმიტომ არსებობს, რომ პაციენტს უმკურნალოს, პედაგოგის მოვალეობა ბავშვის აღზრდაა...

მაგრამ ხნიერი კაცი გაკვირვებით გვეკითხება:

— მაშ, სიკეთე? სიკეთე?

სიკეთე დიდი მადლია, კარგ პროფესიონალს, კარგ სპეციალისტს ეს მადლი ერთიორად ამშვენებს. კაცთა ცხოვრების საბედნიეროდ, კეთილ ადამიანთა რიცხვი არც გამოლეულა და არც გამოილევა.

ამიტომ, როდესაც ჩვენი სტუმარი გულისჯიბიდან თავისი ქალიშვილის ფოტოსურათს მეასედ იღებს, თავს ვეღარ ვიკავებთ და ვეთანხმებით: მართალი ბრძანდებით!

ქალს წითელი ფერისმჭამელა — აკნეროზულეა დაემართა. ფოტოზე სა-

მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

შინელი მოჩანს ახალგაზრდა ქალის სახე. აი მეორე ფოტოც: სახეგადაწმენდილი, მშვიდთვალებიანი.

— ათი წელი ვერაფრით ვუშველე... უმორჩილესად გთხოვთ. ჩვენს რაიონში გამოჩნდა მადლიანი ადამიანი, კოსმეტოლოგი, კაპიკი, კაპიკი რა არის, არ გამოურთმევია...

მერე ქალიშვილიც ჩამოიყვანა. დაოჯახებული, დამშვენებული.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთხოვთ, რეკლამად არ ჩათვალონ ეს პატარა ამბავი. აკი მოგახსენეთ, რესპუბლიკას ბევრი კარგი სპეციალისტი ჰყავს, ადამიანის ფიზიკურ მშვენიერებაზე რომ ზრუნავს. მაგრამ მოხუცი რკინიგზელი, სამამულო ომის ვეტერანი სასოებით გვიმეორებს:

— ტატიანა ჯაფარიძე... კოსმეტოლოგი... ღმერთმა უშველოს... უკაპიკოდ...

## „ბებია შინ არის?"

მოხუცი ქალი ახლახან დაკეტილ პურის მაღაზიას მისდგომია. მინის ვიტრინიდან ანიშნებს გამყიდველებს, ხვეწნით ანიშნებს — ერთადერთი გორგოლა პური მინდა, აგრემც ღმერთი გიშველით, გადმომაწოდეთო. გამყიდველი ქალიშვილები იცინიან (ამ სიცილში კი მართლაც შეეძლოთ ერთი პური გადმოეწოდებინათ!) მერე მოხუცი შალს მხარიღლივ იგდებს და „გაწყდა თქვენი ქოქიო", ბუტბუტით მიფარფატებს.

იმ ქალიშვილებმა ვაკის უბნის ფოსტალიონი გაგვახსენა. ალბათ იკითხავთ „საიდან სადაო".

... იგი დილიდანვე ახალისებს უბანს. ახალისებს მხიარული მოკითხვით, ახალი ფოსტით, ჟურნალ-გაზეთებით. კარგი მოკეთე-ნათესავივით იცლის ყველასათვის. დადის ამაყად გამართული, თავისი მოვალეობის სრული შეგნებით, და... თავისი პროფესიისადმი პატივისცემით.

— ბებია შინ არის? — იკითხავს ხოლმე თვეში ერთხელ. ბებიები და პაპები უბანში ბევრნი არიან. ზოგი მათგანი პენსიონერია. ამიტომ თვეში ერთხელ საგანგებოდ მოდის მათთვის. მოაქვს პენსია დაუზარებლივ, დილით, საღამოს, შუადღით, სანამ ბებიას თუ პაპას საკუთარ ხელში არ ჩააბარებს ფულს.

ამოცანა ძალიან მარტივია, მაგრამ... ადამიანური, უაღრესად ადამიანური: ფოსტალიონს უნდა საკუთარი თანხა საკუთრივ მოხუცმა მოიხმაროს. თორემ... თორემ, რა დასამალავია, — ზოგჯერ პირუკუ ხდება: ოჯახი, ახალგაზრდები თავად იღებენ და ხარჯავენ თანხას, რომელსაც მთელ თვეს ელიან ამაგდარი მოხუცები...

... სირცხვილია, ამხანაგებო!

... ფოსტალიონის გვარი და სახელი მხოლოდ ახლახან დავადგინეთ: თბილისის 30-ე საფოსტო განყოფილება. ფოსტალიონი მარიამ მიხაილოვა.

— მშვენიერი მუშაკია, — დაგვიდასტურა საფოსტო განყოფილების უფროსის მოადგილემ მურთაზ მენაბდემ.

## წამალი

— ცნობათა ბიუროა?

— დიახ.

— თქვენ ქალბატონი ეკატერინე ბრძანდებით?

— არა. მე დოდო ვარ. კატუშა 3 საათიდან მუშაობს. გინდოდათ რამე?

თბილისის 52-ე აფთიაქის ცნობათა ბიუროსთან წამიწამ მოდიან. შემინული ჯიხურიდან ქალი სწრაფად უპასუხებს ყველას. კითხულობს რეცეპტებს, რეკავს და ადგენს, სად იშოვება ესა და ეს წამალი, ურჩევს, უღიმის, ანუგეშებს...

— გნებავთ რამე? — მაინც იცლის ჩვენთვის. რამდენიმე წამალს ვუსახელებთ, არცთუ ისე იოლად მოსაძიებელს. მაინც მოიძია, იკითხა, გზა გვასწავლა.

— კატუშას იცნობთ? არა? აბა რატომ მაინცდამაინც მას კითხულობთ?

ხომ ვერ ავუხსნით, რომ ეს ისე, ჟურნალისტური ხერხია. ქება გვესმა და მივედით.

აფთიაქის მიღმა ხმაურობს, ღელავს და მიიჩქარის ქალაქი.

მაშ, ეკატერინე შოგირაძეს 3 საათამდე ვერ ვნახავთ. თუმცა დოდო ჩიქოვანიც იმ ნაქები ყურადღებით ხვდება ყველას. ღიმილითაც, საქმიანადაც. უნდა ითქვას, მოთმინებითაც — ავადმყოფს ეჩქარება, ნერვიულობს, მეორედ, მესამედ ეკითხება, იწერს მისამართს.

3 საათის შემდეგ ქალბატონ ეკატერინეს ტელეფონით ვთხოვეთ გზის მისწავლება, დავუსახელეთ რამდენიმე მედიკამენტი. არ გაკვირვებია, არ შემოგვწყრომია, — „მობრძანდით, აქვე აგიხსნით, ახლა ხალხი ბევრია ჩვენს ცნობათა ბიუროსთანო". ცოდვა გამხელილი სჯობს: გვეშინოდა, ვაითუ დაგვაღალატოს, გადაღლილმა უკმეხად გვიპასუხოსო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა! — „მიხმობ? მოვდივარ!" — მედიკოსთა ეს დევიზი აქაც მოქმედებს, ოღონდ მცირეოდენი შესწორებით: „მიხმობ" გისმენ!"

იკითხავთ, რაა აქ საკვირველი, ადამიანი თავის მოვალეობას ასრულებსო. დიახ, ასრულებს, ოღონდ მთელი გულით, მთელი მონდომებით, დაუზარებლად. კარგი სიტყვაც წამალიაო, უთქვამს ჩვენს ხალხს. და ეს წამალი დოდო ჩიქოვანსა და ეკატერინე შოგირაძეს არ ენანებათ.

ნ. გიორგაძე



# საქორწილო კაბა

კაცი, რომლის შესახებაც ვწერ, რეალური პიროვნებაა. საზოგადოებაში მას პატივს სცემენ, კარგ ადამიანად მიაჩნიათ. მისი პირადი ცხოვრება კი ალბათ ძალიან ცოტამ იცის.

მართალია, გვარს არ ვასახელებ, მაგრამ ამ ამბავს რომ წაიკითხავს, ის უთუოდ იცნობს თავისთავს.

იქნებ ბევრმა სხვამაც თავისთავზე მიიღოს ეს წერილი.

ახალი მეზობლები სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ გადმობარგდნენ. ნახევრადსარდაფი მიაქირავა თიანელ და-ძმას პირველ სართულზე მცხოვრებმა მაშო დეიდამ. მართალია, ასეთ პატარა და შეკრულ ეზოში, სადაც ყველა მობინადრემ იცის თუ სადღეისოდ ვის რა სადილი აქვს შემოდგმული საერთო სამზარეულოს გაზის ქურაზე, უცხოთა გამოჩენა მაინცდამაინც არავის ეპიტნავება, მაგრამ რას გახდები მაშოსთან! უბნის ინსპექტორები ყოველთვის აფრთხილებდნენ: ნუ აქირავებ მაგ სარდაფს, თორემ ჩამოგართმევთო. მაგრამ შენც არ მომიკვდე!

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს მდგმურები არავის არაფერს უშავებენ. ერთ რამეში კი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან: სოფლელი ბიჭები არიან, საქმეს ნაჩვევი და, აქ სამეზობლოში ყველას ხელიდან სტაცებენ გასაკეთებელს, ყოველ შემთხვევაში, მაშო დეიდას არცერთ მდგმურს წლების მანძილზე ეზოში და უბანში ჯერ თავი არ შეურცხვენია.

ეს და-ძმაც არა ჩანს ურიგო. მხოლოდ ბიჭი უსაშველოდ არის გადაყოლილი ჩონგურს. ერთი (ალბათ პაპისეული თუ უფრო ადრინდელი) სამლარიანი ჩონგური აქვს, უჩხაკუნებს და უჩხაკუნებს. მერე ან მოტივი შეცვალოს ამ ოჯახაშენებულმა, ან ახალი შაირი მაინც დაამღეროს! აურჩევია ერთი ხალხური ლექსი და თუთიყუშივით სულ იმას დახძახის.

იმ დღესაც, კაცი მანქანის გასარეცხად ძირს რომ ჩამოვიდა, უკვე შუა კიბეებზე შემოესმა ჩონგურის ხმა და უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა: გააპირებს ახლა ეს საქმეს!

მანქანა სწორედ მაშო დეიდას ნახევრადსარდაფის წინ უდგას. გრძელი რეზინის მილის ბოლო მეორე სართულზე, თავის სამზარეულოში აქვს ონკანზე ჩამოცმული და ზემოდან წყალი ტყვიასავით რომ ეშვება, რეზინის მილი მონოტონურ ზუზუნს გამოსცემს.

„მე იმის სახელს არ ვიტყვი,
ღმერთმა უშველოს ვინც არი".

ღიღინებს თიანელი ბიჭი.

კაცი კი უკვე კარგა ხანია შეუდგა მანქანის რეცხვას. მაღალყელიანი რეზინის ჩექმა აცვია, წინსაფარიც რეზინისა შემოუკრავს წელზე, ძალდაუტანებლად დააცურებს მანქანაზე ღრუბელს. წეღან ერთი კი დააპირა რადიოს ჩართვა, მაგრამ მაინც მოერიდა მდგმურს.

მანქანის გამშრალება რომ გადაწყვიტა, მაშინღა გაახსენდა, რომ ჩვარი არ ჰქონდა. ზემოთ, მეორე სართულზე ახვლაც დაეზარა და ქვემოდან ასძახა მეუღლეს, რამე ჩვარი გადმომიგდეო... მერე კი აფრიალებულ ნაჭერს ხელი შეუშვირა, მაგრამ მაინც ვერ დაიჭირა და მიწაზე დაუვარდა. ახლებად რომ დაიხარა, მაშინღა იცნო...

ამ ქსოვილის კაბა ეცვა მის ლამაზ პატარძალს, ხელისმოსაწერად რომ წავიდნენ. მთელი ეზო გამყვა — ახვლედიანებიც, ლომიძეებიც, ჯაშებიც, მაშო დეიდაცა და კნიაზა ქურთიც თავის ოჯახიანად... რა უხდებოდა კაბა ქალს!

ჯაშების ზაურმა მცხეთისკენ გააქროლა ისინი. სვეტიცხოველში შევიდნენ. პატარძალმა აიჩემა, სანთლები ავანთოთო. კაცმა შიშნაჭამი თვალები მოავლო საყდარს, არავინ დამინახოს, პარტიის წევრი კაცი სანთელს რომ ვანთებო. მაგრამ პატარძლის სურვილს ხომ ვერ გადაუვიდოდა?! სანთლები აანთეს და მერე ზაურმა ბებრის ციხესთან მიიყვანა. ჩახჩახა დარი იდგა... წვრილ ბილიკზე ძველი ციხის ნანგრევებისაკენ მართლაც შველივით მიხტოდა ქალი. წელს ზემოთ მკვრივად შემოტმასნოდა ქსოვილი. ქვედა ბოლოს კი არაგვის ნიავი უფრიალებდა.

თეატრში და სტუმრადაც სულ ის ეცვა. კაცმა თვალი შეაჩვია, მაგრამ ამით მიმზიდველობა და პეწი არ დაუკარგავს კაბას. ის კი არა, მერე ისიც შეამჩნია, რომ ქსოვილს ქალის სითბო და ჰაეროვნება გადმოედო.

იგი გარდაიცვალა. ვიღაცამ აიჩემა ეს კაბა ჩავაცვათო. კაცმა არა ქნა. ახლა მან ნაჭერი დაყნოსა... მერე უეცრად გამოერკვა და ზევით აიხედა, ცოლი ხომ არ მიყურებსო.

„მე იმის სახელს არ ვიტყვი" — ღიღინებდა თიანელი ბიჭი.

— სულ მეგონა, დედამისმა წაიღო, — გაიფიქრა კაცმა, — ბავშვი რომ მიჰყავდა, მაშინ რაღაც-რაღაცეები მოხვეტა, მეგონა ეს კაბაც გააყოლა.

ეს კი თავის მართლებას ჰგავდა, მაგრამ ვის წინაშე იმართლებდა თავს რეზინისჩექმიანი კაცი? აი მაშო დეიდა კი იყურება ოთახიდან, მაგრამ იმან რა იცის, რა ფიქრები და მოგონებები დაახვია თავზე ამ ნაჭერმა. ჰო! რომ იცოდეს, მთელ ეზოს შეყრიდა, ისე არ ეპიტნავება მაშოს მისი ახალი ცოლი...

თურმე რაღაცეებს ჰორაობს კიდეც... ვერ იქნა და ველარ აპატიეს მეზობლებმა, ბავშვს რომ ვერ შეეწყო დედინაცვალი. ვისი რა საქმეა, მითუმეტეს, მაშოს ვინ ეკითხება მის ოჯახურ საქმეებს!

„ღმერთმა უშველოს ვინც არი..."

მოისმის ნახევრადსარდაფიდან.

ცოლმა მეორედ რომ გადმოიხედა, კაცს უკვე აღარ ეჭირა ჩვარი ხელში, მონუსხულივით, როგორღაც უხერხულად იდგა მანქანასთან.

— რა ჰქენი? — გადმოსძახა ცოლმა ზემოდან.

რაო? — შეირხა კაცი.

რაო და, გვიგვიანდება, შენ ჩასაცმელი ხარ და ისაო! — [illegible] ცოლის ზემოდან სიტყვები, — უკვე შეამშრალე თუ კიდევ გადმოგიგდო ჩვარი?

— ჩვარი? არ მინდა, — თვითონაც გაუკვირდა, ისე მკვახედ თქვა და მანქანის საბარგული გახსნა.

...კაცმა რომ მეორე ცოლი მოიყვანა, ოთხი წლისა სწორედ მეორე კვირას გახდა მანანა. რაც მართალია, მართალია, არც ზარ-ზეიმი გაუმართავს და არც მაყრიონი ხლებია ხელის მოწერისას. ისე წყნარად, როგორც ეს მეორე ქორწილს ეკადრება, ათიოდე კაცის სუფრა გაშალეს, ეს იყო და ეს. სამაგიეროდ ბავშვის დღეობისათვის კი მართლაც საგულდაგულოდ მოემზადნენ. მოემზადნენ სწორედ იმიტომ, რომ მეზობლებს არ გაეჭორათ დედინაცვალი. კაცმა რომ თქვას, რა დედინაცვლის ბრალია, რაც შემდეგ მოხდა.

გოგონა სიხარულით ეგებებოდა ყველა ახალმოსულს. მაშინვე სინჯავდა საჩუქარს. ჯერ არავინ აქცევდა ამას ყურადღებას, მერე კი ვიღაცამ შენიშნა, რომ ბავშვი საჩუქრებში რაღაც ნივთს ეძებდა.

— ნიჩაბი არავინ მომიტანა. — გულდაწყვეტით თქვა გოგონამ.

— ნიჩაბი რად გინდა, შვილო, შენ ხომ გოგო ხარ! — შეეკითხა მეზობლის ქალი.

— დედიკო უნდა ამოვთხარო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გოგონამ.

ქალს თვალები აუწყლიანდა, ვერ მოითმინა, ასლუკუნდა, მერე სხვებმაც გაიგეს ბავშვის ნათქვამი. მაშო დეიდამ შეიცხადა, თავში ხელები წაიშინა.

იმ საღამოს უთხრა სწორედ ცოლმა კაცს, რომ ბავშვს იმისთანა ენა აქვს, მე და ეგ ერთად ვერ ვიცხოვრებთ, ბებიამისი რომ გეხვეწება, მიეცი და გაზარდოსო.

მერე ბებიამ წაიყვანა ბავშვი და რაღაც-რაღაცეებიც წაიღო. კაცს ეგონა, რომ იმ ნივთებს შორის ის კაბაც გაიყოლა.

„... მე იმის სახელს არ ვიტყვი
ღმერთმა უშველოს ვინც არი"...

ღიღინებდა თიანელი ბიჭი.

გივი ჭელიძე



მხატვარი ნანი მალიკაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ქალი ისტორიულ წარსულში




საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე ქართველმა ქალმა უძველესი დროიდანვე უდიდესი როლი შეასრულა. სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ქალი კაცის მხარდამხარ იბრძოდა. ამ ქალთა შესახებ ჟამთა აღმწერელნი მეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. მათი სახელები ხალხურმა შემოქმედებამ შემოგვინახა და გაგვაცნო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს დავით ქორიძეს სწორედ ასეთ ქალებზე დაუწერია ნაშრომი „ქართველი ქალები“, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა. ამ წიგნით ჩვენი საზოგადოებრიობა ინტერესით გაეცნობა წინაპარ ქართველ ქალთა საგმირო საქმეებს.

ნაშრომის შესავალში საუბარია იმაზე, თუ როგორ იხიბლებოდნენ ქართველი ქალით უცხოელი მწერლები მოგზაურები და დიპლომატები. ქართველი ქალისათვის ბუნებას მიუნიჭებია სიტურფე, მახვილგონიერება, თავაზიანობა, სათნოება, დიპლომატიური ნიჭი, ზნეობრივი თვისებები და ვაჟკაცური სული, — აღტაცებით აღნიშნავდნენ ისინი.

წიგნი ოთხი თავისაგან შედგება: ქალი ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში; ქალი ქართულ საისტორიო მწერლობაში; სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ქალები; ტყვედ წაყვანილ და გაყიდულ ქალთა ცხოვრება.

პირველ თავში, ზეპირსიტყვიერების მასალების მოშველიებით, ასახულია ქართველი ქალის ადგილი კაცის გვერდით, ქალის როლი, მისადმი პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა, მისი მონაწილეობა ხალხის მატერიალური კულტურის შექმნასა და დაცვაში, ღვაწლი და ამაგი ერისა და ქვეყნის წინაშე;

მეორე თავში ხალხური სიტყვიერებისა და ფეოდალური საქართველოს ისტორიული დოკუმენტებით დამოწმებული იმ მრავალი ათეული ქალის სახელებია გადმოცემული, რომლებიც ლიტერატურის მეცენატებად და დახელოვნებულ კალიგრაფ-გადამწერლებად ითვლებოდნენ.

ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ და საისტორიო მწერლობამ იმ რამდენიმე შემოქმედი ქალის ღირსშესანიშნავი სახელი შემოგვინახა, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ სხვათა ცხოვრების ჩაწერით; ესენი არიან მირიან მეფის ძის „რევის თანამეცხედრე“, უჯარმის დედოფალი სალომე და მისი თანამზრახველი ქალი პეროჟავრი სივნიელი (IV საუკუნე), რომელთაც ქართველთა განმანათლებლის, კაპადოკიელი ქალწულის, ნინოს ვრცელი ბიოგრაფია ჩაუწერიათ.

ამ თავში ავტორი გვაცნობს სარწმუნოებისა და ნამუსისათვის თავდადებულ ქალებს — სალომე უჯარმელს და პეროჟავრი სივნიელს, ზენობიას, შუშანა დედოფალს, VIII-IX ს.ს. ქართველ ქალებს, ქვაბთახევის წამებულთ, ქეთევან წამებულსა და მრავალ სხვას.

ქართველ ქალთა სულისკვეთება თვალნათლივ გამოავლინეს ქვაბთახეველმა წამებულმა ქალებმა; ქეთევან დედოფალმა ქვეყნისათვის თავდადების, თავგანწირვის, სულიერი რაინდობის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა, რითაც თავის დროზე მთელი მსოფლიო გააკვირვა და აღაფრთოვანა. მომდევნო საუკუნეებში კი იგი ქართველ ქალთა გმირობისა და მამაცობის სიმბოლო გახდა.

ქართველი ქალის მოღვაწეობა, მისი სულიერი სიმტკიცე და შეუდრეკლობა კარგად აისახა საისტორიო მწერლობასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

თავდადებულ ქალთა შესახებ ავტორს საინტერესოდ აქვს გადმოცემული მრავალი უცხო და უცნობი მასალა. ძალიან საინტერესოა საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატის (975-1014) დედის გურანდუხტ დედოფლის ცხოვრება. გურანდუხტი, ქართლის ერისთავ იოანე მარუშიძესთან ერთად, საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნავდა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაერთიანდა დასავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი, რომლის მეფედ თავისი შვილი ბაგრატი დანიშნა.

ამავე თავში წარმოდგენილია დიპლომატ ქალთა მოღვაწეობა. ისინი ზოგჯერ ელჩებადაც კი იგზავნებოდნენ მეზობელ სახელმწიფოებში დიპლომატიური საქმეების მოსაწესრიგებლად.

წიგნში საინტერესოდაა ასახული რუსუდან დედოფლის, დემეტრე I-ის (1125-1156) ასულის, ხვარასნის სულთანის ნაცოლარის სახე. რუსუდანი დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. იგი კარგ პოლიტიკოსად და დიპლომატად არის ცნობილი.

დიდად საინტერესონი არიან თამარ მეფის დროის ორი საპატიო მანდილოსანი — „ერთი ხვაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ ერისთავისა რატისი და ერთი კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა“, რომელთაც თამარის მიერ დაკისრებული დიპლომატიური მისია ბრწყინვალედ შეასრულეს, განდგომილნი საქმის მშვიდობიან მოგვარებაზე დაითანხმეს და მეფის სურვილზე დაიყოლიეს.

დიპლომატ ქალთაგან საინტერესოა ვარდისახარ-გულჩორა (ანუ გულნარა) რომელიც XV საუკუნის დამლევსა და XVI საუკუნის I მეოთხედში ცხოვრობდა. ამ ქალის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ ცნობები დაცულია აღმოსავლეთისა და ევროპის სწავლულთა წყაროებში.

სახელოვან ქართველ ქალთა პლეადას მიეკუთვნება არჩილ მეფის ასული დარეჯან ბატონიშვილი (1665-1740), რომელიც საქართველოდან მოწყვეტილი, რუსეთში „სოფელ ვსესვიატსკოეში ცხოვრობდა. დარე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანი ვახტანგ VI-ის არაოფიციალური ელჩი ყოფილა რუსეთში.

ქვეყნისათვის თავდადებულ ქალთა შორის გამოირჩევა თამარ ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ასული, რომელიც ქართლ-კახეთის დასამეგობრებლად 12 წლისა მიუთხოვებიათ თეიმურაზ მეორისათვის. თამარმა თავისი გონიერებით, გამჭრიახობით, რამდენჯერმე იხსნა ქვეყანა განსაცდელისაგან და „ძნელბედობის“ დროს ქვეყნის მართვა იკისრა, როცა ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთს დიდი გადასახადი შეაწერა და . ქართლ-კახეთის მოსახლეობა შიმშილით იხოცებოდა.

მემატიანის ცნობით, თამარ ბატონიშვილი იყო „სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“.

კიდევ უფრო მრავალმხრივი და საინტერესოა თამარი — დედა ქართლისა, იგი მფარველობდა ერს, ქვეყანას, ხელოვნებას, მწერლობას, და თავადაც მწერლობდა. თამარს მიაწერენ რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის იამბიკოს.

ამავე თავში გადმოცემულია თამარის (რუსუდანის ასულის), სალომე ქართველის, რუსა ამირეჯიბის, ანა დედოფლის, შალიკაშვილის ქალის (შაჰაბასის ბებიის), მარიამ დადიანის, ელენე დედოფლის (ათაბაგის), მართა მონაზონის, დარეჯან ბატონიშვილის (არჩილის ასულის), ქეთევან ანდრონიკაშვილის, ანა ორბელიანის, ნინო ბატონიშვილის, დარეჯან დადიანის, მარიამ ციციშვილის, ქეთევან აბაშიძე-წერეთლისა და სხვათა პორტრეტები.

წიგნის მესამე თავი ეთმობა სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლ ქალებს, რომელნიც ქვეყანას მოზღვავებული მტრისაგან იცავდნენ ან შიგნით, გადაგვარებულ ქართველ ფეოდალებს ებრძოდნენ. ესენი არიან: ბარნაბაანთ ნინო; თუში დედები, მარიამ თავდადებული, ნათელა წერეთელი, ბულბულა ქვიშხეთელი, თამარაშნელი მანდილოსანი, ქიზიყელი დიასახლისი, თოთელი ნანა, მარიამ ხერხეულიძე, თინათინ ციბა, სანათა (ბერიძის ცოლი), დარეჯან შილდელი, თორღვაის ქალი ნანა, კახოს ქალი თინა, ბოდბელი დედაკაცი, მარიამ ბუკისციხელი, ქრისტინე მჭადიჯვრელი, მაია წყნეთელი, თამრო ვაშლოვნელი, თინა წავკისელი, ელისაბედ გამრეკელი და სხვანი.

წიგნის უკანასკნელ თავში მოთხრობილია ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქალების გაჭირვებული ცხოვრება. ქართველი ქალები უცხოეთშიაც სამშობლოს სიყვარულით სულდგმულობდნენ.

სარეცენზიო წიგნი ქართველი ქალის შეურცხვენელი და წმინდა მანდილის დიდებაა, გულწრფელი ჰიმნია, რომლითაც ავტორმა ჩვენ სახელოვან წინაპარ მანდილოსნებს უმღერა.

**შალვა გოზალიშვილი,**
**პროფესორი.**

# მამა და შვილები

ზურაბ სტეფნაძე ცხარე ცრემლით დასტიროდა უდროოდ გარდაცვლილ მეუღლეს — დალი გოგოლაძეს. სატირალი კი მართლაც დიდი ჰქონდა — ახალგაზრდა, ერთგული მეუღლის უდროო დაკარგვა და მცირეწლოვანი ორი ბავშვის ობლად დარჩენა.

როდესაც მეუღლე დაასაფლავა, ზურაბმა შვილები ბორჯომის რაიონის სოფელ სადგერიდან, სადაც ის ადრე მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა, თავის სიდედრთან, გოგოლაძესთან ჩაიყვანა და გაბზარული ხმით სიდედრს უთხრა:

— სხვა გზა არა მაქვს, დედი, ისევ შენ უნდა შეგაწუხო, ბავშვებს უნდა მიმიხედო. მე ჩემს სოფელში დალის დაკარგვის შემდეგ, აბა რა გამაჩერებს. წავალ, აქვე ბორჯომში დავიწყებ მუშაობას, ბავშვებს არაფერს მოვაკლებ და არც გავუჭირვებ.

— კი, შვილო, კი, გენაცვალე, უდედობას ჩემს შვილიშვილებს როგორ ვაგრძნობინებ, სულს არ დავიშურებ მათთვის. შენ წადი, მიიხედ-მოიხედე, საქმეში რომ ჩაებმები, გულსაც გადააყოლებ, მხოლოდ ამას გეხვეწები: ობოლი ბავშვები არ დამიჯავრიანო, არ მიმიტოვო, შენს მეტი მაგათი პატრონი არავინ არის.

— რას ამბობ, დედა, ყოველ შაბათ-კვირას აქ ვიქნები. ჩემს ღვიძლებს როგორ მივატოვებ — პათოსით წარმოთქვა ზურაბ სტეფნაძემ, შვილები ჩაკოცნა და გზას გაუდგა.

როდესაც ერთი კვირა მიილია ზურაბის წასვლიდან, ანამ შვილიშვილები დაბანა და დავარცხნა, ტანსაცმელი გაურეცხა, დაუუთოვა და შაბათ დღეს ბებია და შვილიშვილები დილაადრიან თავიანთი სახლის წინ გამოვიდნენ და სოფლის შარაგზას გაჰყურებდნენ. შვილები მამას ელოდნენ.

შაბათი დღე ისე დასრულდა, ზურაბი არ გამოჩენილა.

— ბებიკო, სად ალი მამიკო, შენ ხომ მითალი, მამიკო დღეს ჩამოვა და კამფეტს მოგიტანსო.

— მე კამფეტი ალ მინდა, მე ჩემი მამიკო მინდა, — ტიტინებდნენ პატარები და ბებიის კალთას აცრემლებულნი ეკვროდნენ.

— შვილებო, მამიკოს დღეს ალბათ საქმე ჰქონდა, ხვალ აუცილებლად ჩამოვა. ეხლა კი წამოდით, ძილის დროა. — ამშვიდებდა გაწბილებული ბებია შვილიშვილებს.

მაგრამ კვირაც ისე მიიწურა, ზურაბი არ გამოჩენილა. ამის შემდეგ ბევრმა შაბათმა და კვირამ გაიარა და საერთოდ ზ. სტეფნაძე შვილებს არ უხილავთ, პატარები თვალცრემლიანები გასცქეროდნენ სოფლის შარას, მაგრამ ამაოდ, მამის კვალი არ ჩანდა.

გაწბილებულმა და ჯანგატეხილმა ბებიამ დახმარებისათვის სასამართლოს მიმართა, რათა გზააბნეული მამისთვის შვილების მიმართ მოვალეობა შეეხსენებინათ და აკი ასეც მოხდა, ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1975 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით ზურაბ სტეფნაძეს ალიმენტი დააკისრა თავისი ორი შვილის სასარგებლოდ.

სასამართლოს გადაწყვეტილება ზურაბს სასაცილოდაც არ ეყო და საერთოდ ბორჯომიდან სულ გადაიკარგა. ცოტა ჯაფა როდი დაადგა ბორჯომის რაიმილიციის განყოფილებას ალიმენტის ურჩი გადამხდელის მოსაძებნად. ბოლოს, 1975 წლის დეკემბერში მიაკვლიეს კიდეც და ხელწერილიც დაადებინეს, რომ ალიმენტს შვილებს დროულად გადაუხდიდა. „მამილო“ ზურაბმა ხელწერილში საზეიმო აღთქმასავით დადო ფიცი ალიმენტის გადახდისა, მაგრამ მეორე დღესვე ფეხი დაჰკრა და თავი კრასნოდარის მხარის გელენჯიკის რაიონის სოფელ არხიპოოსიპოვკაში ამოყო. მაგრამ შვილების მოძულე მამას იქაც მიაგნეს და სამართალში მისცეს.

კვლავ შედგა სასამართლო. პროცესზე ისევ მოიკატუნა თავი ზურაბ სტეფნაძემ და სასამართლოს აღუთქვა, ნებაყოფლობით დავფარავ ალიმენტის დავალიანებას — 342 მანეთსო. მაგრამ ამჯერად აღარ დაუჯერეს.

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ალიმენტის ურჩი გადამხდელის ზ. სტეფნაძის საქმე და მას 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც პირობითად იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეეცვალა.

იმედია ზ. სტეფნაძე ამის შემდეგ მაინც დაიხსომებს ა. მაკარენკოს სიტყვებს: „ჩვენი ბავშვები ჩვენი მოხუცებულობაა. მათი სწორი აღზრდა, ჩვენი ბედნიერი მოხუცებულობაა, ცუდი აღზრდა—ჩვენი მომავალი მწუხარებაა, ჩვენი ცრემლებია, ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანების წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“.

**ზ. მესენგისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საინტერესო თემაზე**

# პირველი მფრინავები

(რეპორტაჟი წარსულიდან)

თანასწორობისათვის მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლამ კაცობრიობას ბევრი მამაცი ქალი მისცა. „სუსტმა“ სქესმა დაამტკიცა, რომ ის არც თუ ისე სუსტია, როგორც უწოდებენ.

ასე იყო ზეცის დაპყრობის პირველი ცდების დროსაც. მაშინ სხვადასხვა ქვეყანაში ერთიმეორის მიყოლებით დედამიწიდან ცისკენ მიფრინავდა ფერადი სფეროები. მაშინ იმის ცდებიც იყო, რომ აეროსტატებით ჩრდილოეთ პოლუსამდე მიეღწიათ.

1804 წლის გაზაფხულზე რუს ქალთაგან ცაში პირველი აიჭრა ვიღაც ქალბატონი ტუშენიკოვა, ხოლო 1828 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში, ფრანგი ქალბატონი ჰერნერეი მეუღლესთან ერთად „საფრენოსნო სანახაობას“ აწყობდა. აფიშებში ნათქვამი იყო: „8 მაისს, შუადღის 7 საათზე, თუ წვიმის გამო არ იქნება დაბრკოლება, „საჰაერო მოგზაურობის“ კამპანიაში მიღებული იქნება ერთი ან ორი რუსი მანდილოსანი“.

პირველი დამოუკიდებელი საჰაერო გაფრენა მოახდინა „ილინსკის ქალიშვილმა. ეს უბრალო გაუნათლებელი ქალი მოსკოვში ცხოვრობდა, პრესნიაზე“. — წერდა ყოველკვირეული ჟურნალი „სპორტისათვის“.

1828 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული იყო ასეთი განცხადება:

„რუს ქალიშვილს ილინსკაიას პატივი აქვს, პატივცემულ საზოგადოებას მოახსენოს, რომ მის მიერ გამოცხადებული სეირნობა გადადებულია და გაიმართება ამ თვის 15 რიცხვს, კვირას. ქალბატონი ილინსკაია, როგორც წინათაც იუწყებოდა, გაუშვებს სამ აეროსტატულ სფეროს, რომელთაგან ერთი იქნება მსუბუქი, გზის გამკვლევი, მეორე დიდი სფერო — ადამიანის ფიგურით, ხოლო მესამეთი თვითონ ილინსკაია გაფრინდება საჰაერო მოგზაურობაში“.

სფერო აირით კი არ იყო დატენილი, არამედ ნამჯის ბოლით. პრესის დამოწმებით, გმირი ქალი სამას საჟენზე აფრინდა და იქიდან რაკეტებით მიესალმა მაყურებელს.

ისიც ხდებოდა, რომ აეროსტატს ცეცხლი უჩნდებოდა და ძირს ვარდებოდა, მაგრამ ვერავითარი საშიშროება ვერ აჩერებდა ჰაერში აფრენის პიონერებს.

სფეროების შედარებაც კი არ შეიძლება იმ თვითმფრინავთან, რომლითაც შორიფრენის მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ვალენტინა გრიზოდუბოვამ, მარინე რასკოვამ და პოლინა ოსიპენკომ. ეს არც ტურბოხრახნილიანი ხომალდი იყო, რომლის მეთაურია ლუბა ულანოვა, არც გამგონე „ანთეოსი“, რომელსაც თავის ნებაზე მართავს მარინე პოპოვიჩი, არც ზებგერითი მანქანა, რომელზეც დაამყარა თავისი მსოფლიო რეკორდი საფრენოსნო სპორტის ექს-ჩემპიონმა სვეტლანა სავიცკაიამ, ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას კოსმოსურ ხომალდთან ხომ საერთო არაფერი აქვს.

მაგრამ ამ ქალებს ერთი აქვთ საერთო: ისინი პირველობისათვის იბრძოდნენ.

# ქარგვის მეხუთე გაკვეთილი









„ჯვრული ნაკერის“ რამდენიმე ვარიანტი არსებობს: „მთლიანი ჯვარი“, „ნახევარი ჯვარი“, და „ორმაგი ჯვარი“.

მთლიანი ჯვარი, როგორც სახელწოდებაც მიგვითითებს, ორი ხაზის გადაჯვარედინებით წარმოქმნილი ოთხტოტიანი მცირე ზომის ჯვრებისაგან შედგება. „ნახევარი ჯვრული“ ნაკერის ზედაპირი ცალ მხარეს დახრილი თანაბარი ზომის გადაჯვარედინებით არის შედგენილი და ოთხი თანაბარი ზომის ტოტით წარმოდგენილი. „ორმაგი ჯვრული ნაკერი“ ოთხი ხაზის გადაჯვარედინებით არის მიღებული და თანაბარი ზომის რვა ტოტისაგან შედგება: თუ გამომსახველობა რვაქიმიან ვარსკვლავს გვაგონებს, ამგვარი ნაკერით მთლიანად კი არ იფარება სახეები, არამედ სხვადასხვა სახის ნაკერთან ერთად წრეებისა და კვადრატების გულში გასაფორმებლად გამოიყენება. ამის საილუსტრაციო მასალა აპლიკაციით ნაკერი ნიმუშის ჩვენებისას (რომბის გულში გამოსახული) წარმოვადგინეთ.

### გავეცნოთ მთლიანი ჯვრული კერვის პროცესს:

ჯვრული ნაკერის შესასრულებლად ისეთ ქსოვილს იყენებენ, რომლის ზედაპირზე კარგად მოჩანს ქსოვილისა და საზედაოს ძაფები და ისინი თანაბრად არის განლაგებული (ე. ი. „ტილოსებურ ქსოვილზე“), რადგან კერვისას საჭიროა თანაბარი მანძილის დაცვა. თითოეული ჯვარის წარმოქმნა ხდება გარკვეული სათვალავით; ეს სათვალავი დასაქარგავი ქსოვილის ძაფების გათვლით იანგარიშება და ჯვრის ზომას განსაზღვრავს. ნაკერის გამომსახველობაზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე საკერავი ძაფის სიმსხო. მაგალითად, აბრეშუმის წმინდა ძაფით ნაკერი ურელიეფო ზედაპირს ქმნის და თითოეული ჯვრის ზომაც მცირეა, მატყლის ნართით ნაკერი კი — შედარებით მსხვილ ნაკერს (ზომისა და რელიეფის თვალსაზრისით).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამდენად, კერვის დაწყების წინ გასათვალისწინებელია, როგორც დასაქარგავი ქსოვილის ზედაპირი, ისე ძაფის სიმსხო და შესაფერისი საკერავი ნემსი.

ვკერავთ ფერადი ძაფებითა (აბრეშუმის, მულინის, ბამბის, მატყლის) და საკერავი ნემსით. დასაქარგავად უმჯობესია ავიღოთ „კანვის“ სახელით ცნობილი ქსოვილი, ანდა ტილოს ნაჭერი, მასზე გადაიტანეთ სახე და ნემსით საკერავი ძაფის ბოლო ჩაამაგრეთ. თითოეული ჯვრის წარმოსაქმნელად საჭიროა ორი სვლა, ორი ხაზის გავლება, რომელიც ზედაპირზე ფერადი ძაფით ჯვარედინ ხაზად გამოისახება. ნემსის ერთი ამოგდებით ჯერ ერთი ირიბი ხაზი კეთდება, შემდეგ მის პერპენდიკულარულად მეორე (იხ. სურ. 1.). ისე, როგორც სხვა ყოველგვარი მხატვრული კერვის შესრულებისას, საჭიროა სიმეტრიის დაცვა, თანაზომიერება, ამ შემთხვევაშიც საჭიროა თითოეული ხაზი თანაბარი ზომისა იყოს, რომ თითოეული ჯვარი (ჯვარედინიანი ხაზი) თანაბარი ზომისა გამოვიდეს, რადგან თითოეული ჯვარი, მთლიან სახეში, გარკვეული ერთეულია. ყოველი ჯვარი ერთი ფერით სრულდება. ფერადი ძაფებით სახის კონტურები მკვეთრად არის გამოყოფილი.

ამგვარი ნაკერი სხვადასხვა დანიშნულების საგნების შესამკობად გამოიყენება, როგორიცაა ტანსაცმლის დეტალები (განსაკუთრებით ხევსურული კოსტუმი უხვადაა შემკული ჯვრული ნაკერით), ხელჩანთებისა და საოჯახო დეკორაციული დანიშნულების საგნები (მუთაქისა და ბალიშის პირები, გადასაფარებლები და სხვა).

ჯვრული ნაკერი შეგიძლიათ გამოიყენოთ კოსტუმის დეტალებისა და სხვადასხვა დანიშნულების დეკორატიული ნივთ-საგნების გასაფორმებლად.

ც. ყარაულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# რჩევა მეძუძურ დედებს



დედა-შვილის ჯანმრთელობისათვის მთელი ოჯახი უნდა ზრუნავდეს. ყველაზე მეტად მასტიტს უფრთხილდით. ის ჩვილისათვისაც საშიშია და დედისთვისაც.

როგორია მასტიტის პროფილაქტიკა? — უპირველეს ყოვლისა, ქალმა მშობიარობამდე უნდა მოამზადოს ძუძუსთავები (ამაზე ექიმს უნდა მოეთათბიროს), შემდეგ მთავარია ჰიგიენა.

აუცილებელია ძუძუსთავების დღეში ორჯერ თბილი წყლით ჩამობანა; წოვების წინ ხელების გულდაგულ დაბანა, ლიფის ყოველდღე გამოცვლა.

ბინის სისუფთავე მამამ უნდა ითაოს. დედა-შვილის ოთახში ყველაფერი სველი ჩვრით უნდა გაიწმინდოს, სასურველია ოთახში არ იდგეს რბილი, ქსოვილგადაკრული ავეჯი.

მასტიტი, საერთოდ, მშობიარობის შემდგომ პირველ-მეორე კვირაში ჩნდება, მაგრამ, ამ ბოლო დროს, გვიანი მასტიტებიც გვხვდება — მეორე, მესამე და მეოთხე კვირაშიც კი. ისე რომ, ყურადღება არ უნდა მოადუნოთ!

## დედის რძეს კონკურენტი არ გააჩნია

1966 წელს აკადემიკოსი (მაშინ წევრ-კორესპონდენტი) ვ. პ. ბასიარინა წერდა, ბავშვისთვის დედის რძე იდეალური საკვებია და მას კონკურენტი არ გააჩნიაო.

მას შემდეგ გამოვიდა ახალი რძის ფხვნილები, რომლებიც ძალიან მოსახერხებელია და მაქსიმალურად შეესიტყვება ძუძუთა ბავშვის მოთხოვნილებებს. მაგრამ მეცნიერები დღესაც ამტკიცებენ, რომ „დედის რძეს კონკურენტი არა ჰყავს!“

რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვს დედის რძე შევუნარჩუნოთ, დიახ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, რადგან რძის სიუხვე მარტო ორგანიზმის თავისებურებაზე კი არა, დედის მეცადინეობაზეც დიდად არის დამოკიდებული. მთავარი მარტო სწორი, სისტემატური კვება და დასვენება როდია, უდიდეს როლს თამაშობს კარგი გუნება-განწყობილებაც. ნუ შეშინდებით, თუ პირველ და მეორე კვირას რძე ცოტა გექნათ. ახალგაზრდა და ისეთ დედებს, რომელთაც დიდი ხანია არ უშობიათ, რძე ნელ-ნელა მოსდით.

დიდი გავლენა აქვს ძუძუს სისტემატურად მოწოვებას: დედა-შვილს უმუშავდებათ დროის რეფლექსი: ქალს დაწესებულ საათებში რძე უხვად მოსდის, ბავშვს კი გამოეყოფა საჭმლის მომნელებელი წვენები.

საჭიროა იცოდეთ, როგორ გეჭიროთ ბავშვი წოვების დროს: დაჯექით მოხერხებულად, რძის პირველი წვეთები გამოწურეთ. შემდეგ ჩაუდეთ ბავშვს პირში ძუძუსთავი, მკერდი ოდნავ ასწიეთ და ხელით დაიჭირეთ, რომ ბავშვს ხელი არ შეეშალოს და სუნთქვა არ შეეკრას.

ენერგიული, ღონიერი ბავშვი 5-7 წუთში ძღება. სუსტი ბავშვი კი წოვას მეტ ხანს ანდომებს, ზოგჯერ თვლემაც ერევა და ხელის ლოყაზე მოთათუნებით გაღვიძება სჭირდება, მაგრამ, რაც არ უნდა ნელა სწოვდეს ჩვილი, სპეციალისტები არ ურჩევენ დედებს, ბავშვის ძუძუსთან 20 წუთზე მეტ ხანს დაყოვნებას, რადგან ამით კვების რეჟიმი ირღვევა. თანაც შეიძლება ძუძუსთავი დაზიანდეს, გაჩნდეს ნახეთქები — მიკრობებისათვის, ესე იგი მასტიტისათვის „ღია კარი“.

ძუძუს მთლიანი დაცლა ხელს უწყობს ახალი რძის წარმოქმნას. ამიტომ ბავშვის კვებას რომ მორჩებით, დარჩენილი რძე მთლიანად გამოიწურეთ.

ჟურნალი „ზდოროვიე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რჩევები

### ვიტამინებიანი კრემები

კოსმეტიკური მრეწველობა მკვებავი კრემების დასამზადებლად ფართოდ იყენებს აქტიურ ბიოლოგიურ ნივთიერებებს — მცენარეთა ექსტრაქტებს, ფერმენტებს, ჰორმონებს, ვიტამინებს. ცხიმში, ძირითადად, ხსნად ვიტამინებს (A, E, D,F-ს) იყენებენ, რადგან წყალში ხსნად ვიტამინებს როგორიც არის მაგალითად **B** ჯგუფის ვიტამინები, კანი ცუდად იწოვს და საჭირო ეფექტს ვერ იძლევა. ამიტომ კოსმეტიკაში მათ თითქმის არ ხმარობენ.

ვიტამინები საერთოდ ორგანიზმზეც მოქმედებს და თვითონ კანზეც.

ორგანიზმში A ვიტამინის დეფიციტი, უპირველეს ყოვლისა, კანზე უარყოფითად მოქმედებს: კანი შრება, იქერცლება, ჩნდება ზედ ფერიმჭამელები და **მუწუკებიც** კი.

ვიტამინ A-ს შემცველი კრემებია „პერსიკოვი", „ლუქსი", „ჩაიკა".

თუ ამ კრემების ნილბებს სისტემატურად გაიკეთებთ, გაგიქრებათ სიმშრალე, შეგიწყდებათ კანის აქერცვლა, ხელები დაგირბილდებათ და მოგიშუშდებათ.

ვიტამინი E ააქტიურებს ვიტამინ A-ს მოქმედებას, ხელს უშლის კანის ნაადრევ დაბერებასა და დაჭკნობას. ვიტამინი E კოსმეტიკურ კრემებში A და F ვიტამინებთან ერთად იხმარება. ასეთ კომპლექსს შეიცავს კრემები „ვიტამინნი", „ვოსტორგი", „ნევსკი", „ვეჩერი".

ვიტამინი F უჯერი ცხიმების მჟავების კომპლექსია და ცხიმებისა და ქოლესტერინის ცვლაში მონაწილეობს. ამ მჟავების ნაკლებობა თავს იჩენს ხოლმე კანზე და კანი შრება, თმა იკვნიტება, წვრილდება და ცვივა. ვიტამინ F-ს კანი კარგად იწოვს და ამიტომ მას კოსმეტიკაში ფართოდ იყენებენ. ვიტამინ F-ს შემცველი კრემებია: „ლუდმილა", „ოსობი" და სხვები.

ვიტამინებიანი კრემები ყოველთვის საჭირო და სასარგებლოა, განსაკუთრებით კი ზამთარში და გაზაფხულის დამდეგს, როცა ორგანიზმში ვიტამინების ბალანსი, ხოლო კანში ვიტამინების ცვლა მცირდება.

**ა. ახობაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
ჟურნალი „ზდოროვიე".

გზა მშვიდობისა!

# გამოსაშვები კაბები და კოსტიუმები

გამოსაშვები საღამო... როგორ უნდა თითოეულ ქალიშვილსა თუ ჭაბუკს იგი კარგად გაატაროს და რაც შეიძლება ლამაზი იყოს!

ეს საღამო ხომ ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი იქნება მის ცხოვრებაში. ეს სკოლის ამხანაგებთან გამოთხოვების, მომავლის ნათელი გეგმებისა და დამოუკიდებლობის აღმნიშვნელი საღამოა. და ყოველივე ეს, თითქოს, დიდი ხნის ნანატრმა, პირველმა სამეჯლისო კაბამ, პირველმა მამაკაცურმა კოსტუმმაც უნდა დაასაბუთოს.

და განა მარტო ქალიშვილისა და ჭაბუკისა? — ეს აღმზრდელი პედაგოგების, მშობლებისა და მეგობარ-ნათესავების ზეიმიც არის. ისინი სიამაყის გრძნობით აღვსილნი, ფარული მღელვარებით პირველად შეავლებენ თვალს მორთულ-მოკაზმულ ყმაწვილქალობასა და ჭაბუკობაში შესულ გუშინდელ გოგო-ბიჭებს...

ფიქრი ამ საღამოზე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ზამთრის ცივ დღეებში იწყება, და მალე მთელი ოჯახის საზრუნავი ხდება —როგორ და რისგან უნდა შეიკეროს კაბა, რითი გაიწყოს და სხვა.

გამოსაშვებ საღამოზე ჩასაცმელი კაბა, უპირველეს ყოვლისა, საზეიმო უნდა იყოს და თანამედროვე მოდის ყველა ძირითად მოთხოვნას უპასუხებდეს. გარდა ამისა, არსებობს ტრადიციული მოთხოვნაც, რომელიც, სასურველია, კაბის შეკერვის დროს იქნეს გათვალისწინებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორი იქნება კაბა. ბაცი ფერისა და ჰაეროვანი უნდა იყოს, უნდა გვიჩვენებდეს ქალიშვილის სინორჩეს, სიფაქიზესა და მოკრძალებას, რაც ასე ამშვენებს და ამკობს ყმაწვილქალს. ახალი კაბა სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც კი აქამდე სცმიათ, მაგრამ ის არამც და არამც არ უნდა იყოს მდიდრული და ელეგანტური. ასევე შეუფერებელია ჯერ კიდევ ბავშვური იერისათვის თმის რთული ვარცხნილობა და მკვეთრი გრიმი. უნდა გვახსოვდეს ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ახალგაზრდობა თავისთავად მშვენიერებაა.

სწორედ ასეთი კაბის ხასიათს გადმოსცემს თავის ესკიზებში მხატვარი ნანა კობალაძე, დარწმუნებული იმაში, რომ სკოლადამთავრებულ ქალიშვილებს საკმარისი გემოვნება და გამომგონებლობა აქვთ იმისათვის, რომ, თავისი გარეგნობისა და ხასიათის შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა კაბის მოდელი თვითონვე აირჩიოს.

გთავაზობთ აგრეთვე ი. ნაცვლიშვილის კოსტუმების ესკიზებს ჭაბუკებისათვის

გზა მშვიდობისა, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო!

**ლ. ხვედელიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე — ციალა კანდელაკის „მხატვრის პორტრეტი". მეოთხე გვერდზე — მოსკოვი, კრემლი, მარადიული ცეცხლი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/IV-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-77 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 123 000. შეკვ. 1198 უე 00695 **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოდა





მოდების ავტორები ნ. კობალაძე და ი. ნაცვლიშვილი





ნ 62/80

ИНДЕКС 76178